

III 282  
365

32523  
32520

# გეორგი ავ და ატომები



III 882  
365

კუსჩავ კოვერტი



# გეორგი, მე დე აცოდები



“გეორგი”  
თბილისი  
1979

78.22 3.

2022  
L  
230483

ერთ კვირა დღეს პეტრე და ბიძამიხი ქალაქეა-  
რეთ გაემგზავრნენ. გზად ბევრი ისაუბრებ, ტყეში  
დაისვენეს და შინ სადამო ხანს დაბრუნდნენ. პეტ-  
რემ იმ დღეს გაიგო, რომ პური და კარაქი, მიწა და  
ჰაერი, მოცვი და ხოკო მიღიონობით ნაწილაკისა-  
გან შედგება. იმ ნაწილაკებს ატომებს ეძახიან.  
ატომს დევის ძალა აქვს. ადამიანმა დაიმორჩილა  
ატომი და ამ ძალის თავის სახარგებლოდ იყენებს.  
პეტრეს ბიძას მოუსმინეთ და თქვენც მიხვდებით,  
რა არის ატომი ან რა ძალა აქვს მას. მერე, ცამეტ-  
ორთხმეტი წლისა რომ გახდებით, ფიზიკას ისწავ-  
ლით და ატომზე უფრო ხაოცარ ამბებს გაიგებო.

თარგმანი მ 2 რ 0 გ 0 გ 3 ე ლ ა ე მ

პ ი რ გ ე ლ ი გ ა მ თ ც ე მ ა

© ქართული თარგმანი „ნაკადული“, 1979

K 70803-44  
M-603(08)-79 132-79

## მრთ კვირა დღეს

მე და ჩემი დისტული პეტრე პრაღაში კცხოვრობთ, თითქმის  
მეზობლად. იგი მეექვსე კლასში გადავიდა. ჩვენ დიდი მეგობრები  
ვართ და ზაფხულობით ძალიან ხშირად დავდივართ ხახეარნოდ  
ქალაქებარეთ.

ლამაზია პრაღის შემოგარენი. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ,  
ამ ბოლო დროს ძეველებურად აღარ მომწონხ. ჩემი აზრით, მეტის-  
მეტად გორაკიანია. რად შემძულდა გორაკები? რა და პეტრეს ხა-  
შინელი რამ დასხემდა. თავს ვაღდებულად თკლის, ყოველ შემ-  
ხვედრ გორაკზე აძვრეს: ზოგჯერ გორაკს მშვენიერი გზა მიუყვა-  
ბა, მაგრამ გზას ვინ დაგიდევთ, მიძვრება ხწორედ ძქ, ხადაც ზა-  
ლიკიც არ ჩანს. მეც თავი რომ არ შევირცხვინო, მივყვები უკან  
მორჩილად. თანაც ისეთი ცნობისმოყვარება, კითხვას კითხვაზე  
მაყრის. მეტი რა ჩარაა, უნდა კუპასუხო. უმეტესად ტექნიკა აინ-  
ტერესებს.

ერთ კვირა დღეს, აგვისტოს ბოლოს, ხწივლის დაწყებამდე  
ერთი კვირით ადრე, პეტრემ კარი შემთაღო. ფანჯარაში გავიხე-  
დე, — იქნებ ბედად წვიმს-მეტქი, — ხამწუხაროდ, აგვისტოს მზია-  
ნი დილა იდგა.

რაკი პეტრე ჩემთან კვირას მობრძანდა. ისაც კარგ ამინდში,  
დილით, ვიცოდი, უეჭვილდ გამიყოლებდა ქალაქებარეთ ხახეირ-  
ნოდ.

სავალალთა! მე კი ამ კვირა დილით შინ დარჩენას ვაპირებდი,  
ერთი საინტერესო ხამეცნიერო წიგნი უნდა წამეკითხა. როგორც  
ჩანს, გეგმა ჩამეშლება!

— აბა, ერთი შეხედე, ძია, — მითხრა პეტრემ — მოცვისთვის  
რა კარგი ჭურჭელი ვიმოვე, — და კიტრის მწნილის მოზრდილი

ქილა მიჩვენა. — სოკოსთვის კი აი, რა წამოვიდე, — პეტრემ მამი-  
ხეულ ვეებერთელა ჩანთას მოხსნა პირი.

შევწუხდი, — ვინ უნდა ააგსოს სოკოთი და მოცვით ამოდენა  
ჭურჭელი-მეთქი. დისწულს ფრთხილად შევეკითხე:

— შეძლებ ამდენი სოკოს შეგროვებას?

— მე? — გაითვა პეტრემ — დედამ თქვა, ბიძაშენი შეაგროვებ-  
სო, მისთვის მოძრაობა სასარგებლოაო.

— ბიძაშენიო? მე დახრა არ შემიძლია, ეს ჩემთვის მავნეა.  
დედამ ეს არ იცის?... გარდა ამისა, სოკოსი არაფერი მესმის, არცა  
ჰქამ.

— თუ ასეა, — დამამშვიდა პეტრემ — შენ ჩემი მეტვირთე იქ-  
ნები.

ესლა მაკლდა! კვირა დღეს პრაღის მორთულ-მოკაზმულ ქუ-  
ჩებში რაღაც შუშა და საეჭვო ჩანთა ვათრიო.

მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი გართობა მელოდა! ერთი იმე-  
დიღა მრჩებოდა: სოკოსა და კენკრის მრავალრიცხოვანი მოყვა-  
რულნი დიღით ადრე გაუდგებოდნენ ქალაქებით გზას და არა-  
ფერს დაგვიტოვებდნენ. მაშინ ქილას გავტეხ, ხოლო ჩანთას მივ-  
კარგავ-მეთქი, გავიფიქრე.

მაშ ასე, ჩვენ მივემზავრებით, მივდივართ ზბრასლავაში.

აბა, მაშინ რას ვითიქრებდი, თუ სოკოსა და მოცვის კრეფისას  
გაბრაზებულ მეტყველეს გადავეყრებოდი და უწყინარი გასეირნება  
ჩამშხამდებოდა.

გულთმისანი რომ ვყოფილიყდვი, ამ დღეს შინ დავრჩებოდი.

## ე ა ლ ა მ გ ა რ ა თ

შინიდან წიგნი წამოვიძღვანე. მაშინვე მივხვდი, რომ სამ-  
გზავროდ დიდი იყო. ვერაფრით ჯიბეში ვერ ჩავიტენე. გავბრაზ-  
დი, თუმცა რა იყო გასაბრაზებელი!..

მოვიდა გამოტენილი ავტობუსი. ხალხი მაინც მიესია, ეტე-  
ნებოდნენ და ეტენებოდნენ. თითოეული ხელის კვრით მიიკვლევ-  
და გზას, ავიდოდა თუ არა, საფეხურზე ჯორივით დადგებოდა, წინ  
არ წაიწეოდა, სულ არ ადარდებდა, თუ ვინმე მისი დაუდევრობით  
ავტობუსს ჩამორჩებოდა.

მე და პეტრეც კინალაშ დავრჩით, მაგრამ ჩვენ გვისხნა... წიგ-  
ნმა. დიახ, წიგნმა: ჩემს სამეცნიერო წიგნს მაგარი ყდა და შუბი-  
ვით მახვილი ძგიდები ჰქონდა. ამ „ცივმა იარაღმა“ მგზაგრები  
შეავიწროვა. და ჩვენც გავემგზავრეთ. ახლოს არავინ მეკარებოდა.  
ხალხი შემჭიდროვდა და იმდენი ამოვიდა, ბევრისმნახველ მოხუც  
კონდუქტორსაც კი გაუგვირდა.

— ქილაში მიჯრით ჩაწყობილ თევზებს მაგონებით, — თქვა  
მან, ზბრასლავაში რომ ჩავდიოდით.

ასეთი მგზავრობით დაღლილ-დაქანცულმა კაფეში შევლა მო-  
ვინდომე, წავიხემსოთ და ცივი სასმელიც დავლიოთ-მეთქი. პეტ-  
რეს ამის გაგონებაც არ სურდა.

ვიაროთ წინ, მოცვისა და სოკოს საძებნელადო! როგორ ვი-  
ნანე, ავტობუსში რომ არ გავტეხე ქილა და არ დავგარგე ჩანთა.

პირველი ბორცვის ფერდობი, რომლის მწვერვალზე უნდა  
ავფორთხებულიყავით, ძალზე ციცაბო აღმოჩნდა. გარდა იმისა,  
ფერდობი სულ მთლად ეკლიან ბუჩქებს გადაებურდა, წვეტიანი  
ქვებიც ბლომად ეყარა.

პეტრეს მცოდნე კაცივით ვარწმუნებდი, თუ კინკრა და სოკო  
მთის ძირას არ ხარობს, (მე ზუსტად დავადგინე), მით უმეტეს, არ  
იქნება ბორცვის თავზე. ამიტომ, ჯობს, ძირს დავრჩეთ და მოლზე  
წამოვწვეთ-მეთქი.

სმამაღლა ვლაპარაკობდი, მერე ვინანე, მაგრამ რაღა დროს!  
მკრეფავები ჩამოდიოდნენ, ჩემი ნათქვამი გაიგონეს და გამოგვე-  
საუბრნენ, თავიც მოიწონეს:

— რას ამბობთ, მაღლა იმდენი მოცვია! სოკო კიდევ მეტი, ნა-  
ხეთ — მთელი ჩანთა მოვაგროვეთ.

მეტი რა დამრჩენოდა, ძალით გავიღიმე, ერთხელ კიდევ ოხვრით გამოვეთხოვე ჩემს მიერ შერჩეულ ჩრდილითა და რბილი მოლით დაფარულ მინდორს. თუმცა გამოგიტყვდებით, სადღაც გულის კუნჭულში კიდევ მრჩებოდა იმედი, იქნებ დავრჩეთ ამ სამოთხეში-მეთქი.

საუბედუროდ, საიდანღაც ზემოდან გაისმა პეტრეს ხმა:

— სად ხარ, ძია, არ მოდიხარ?

ბორცვზე ავცოცდი. ღმერთო ჩემო, ამას თუ ასელა ჰქეია! თითქმის შეეულ ფერდობს მივყებოდი. ხელ-ფეხი ხის ფესვებში გამეხლართა. თავზე ქვები მეყრებოდა, თანაც წიგნი მიშლიდა ხელს. ილაჯი გამომელია, ტუჩები გამიშრა, ზურგი მეტკინა. მოგზაურობას კი ბოლო არ უჩანდა.

უცებ ფეხებეშ ნიადაგი გამომეცალა. ალბათ, წვიმას დაერბილებინა. ბუჩქს ვტაცე ხელი, მაგრამ ყვირილით ხელი გუშვი, ბუჩქი მწარედ იჩხვლიტებოდა. ნელ-ნელა ძირს ვეშვებოდი. როგორ მოვიქცე? მარჯვნივ რაღაცის ფესვი შევნიშნე, მაგრამ შორს ყყო. გააფთრებულმა ხელები გავიქნიე, რათა ფესვისთვის წამევლო. საბედნიეროდ, მივწვდი კიდეც. როგორც კი ჩემს გადამრჩენელ ფესვს ჩავეჭიდე, წიგნი ხელიდან გამივარდა და ძირს ჩაფრინდა.

„ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს ასეთ სეირნობას“ — გავიფიქრე.

როგორც იქნა, ავბობდი მწვერვალზე და დაღლილ-დაქანცული დასასვენებლად მივეგდე.

— ძია, შენ პირდაპირ მოცვეში ჩაწექი? — დაიყვირა პეტრემ.

უცებ ვერ მივხვდი ამ ნათქვამის საშინელებას, გონის რომ მოვგა, გველნაკბენივით წამოვვარდი.

— ჩემი ღია ფერის კოსტიუმი! — ამოვიოხრე.

ელდანაცემმა ერთხელაც დავიხედე ტანზე და წამოსაწოლად უფრო შესაფერი ადგილი მოვძებნე.

## ასი მიღიორი მოცვი და პინძისთავი

— ძია, რა წიგნი დაკარგე? — მკითხა პეტრემ.

— ის იყო წიგნი ერთ მეცნიერზე, ორი ათასი წლის წინ რომ ცხოვრობდა საბერძნეთში. დაწმუნებული ვარ, ის კაცი ასე ჩვენსავით არ დაყიალობდა და ამიტომაც ყოფნიდა დრო დიდი აღმოჩენებისათვის.

— შენც აღმოაჩენდი რაიმე მნიშვნელოვანს, დღეს ჩემთან რომ არ წამოსულიყავი?

გაკვირვებულმა ცნობისმოყვარეობით პეტრეს გადავხედე: იქნებ ხუმრობს-მეთქი. მაგრამ პეტრემ, როგორც ჩანდა, კითხვა სერიოზულად დამისვა. რა პასუხი გამეცა?

— რა აღმოაჩინა იმ მეცნიერმა? — არ მასვენებდა პეტრე.

— ის იყო პირველი მეცნიერი, გინც მიხვდა, რომ ყველაფერი ქვეყანაზე მცირე ნაწილაკებისაგან შედგება.

— როგორ? ეს ხომ ტყუილია?

— არა, მართალია. დემოკრიტე (ასე ერქვა მეცნიერს) ამბობს: ყველაფერი, რასაც ვხედავთ ჩვენს ირგვლივ — ხეები, ჯირკები, ბაბალახი, მოცვი, ვლტავის წყალი თუ ზბრასლავისა და პრაღის სახლები, მესვის ბუტერბროდები... ჰო, მართლა, ხომ არ დაკარგე ჩვენი ბუტერბროდები?

— არა, აქა მაქვს.


— ძალიან კარგი. მაშ, ასე: პური, კარაქი, ლუდი, რომელსაც ახლა სიამოვნებით დავლევდი, ძეხვი — მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაზე ქვეყანაზე შედგება მილიონი და მილიონი პაწაწკინტელა ნაწილაკისაგან, რომლებსაც ერთი და იგივე სახელი ჰქვია.

— რას ამბობ, განა ქვის ნატესსა და ყველის ნაჭერს ერთი და იგივე სახელი ჰქვია?

— ჩემო კარგო, დემოკრიტე ხილულ ნაწილაკებზე კი არა, ისეთ პაწაწკინტელა ნაწილაკებზე ამბობს, რასაც ვერც ერთი, ყველაზე კარგი მხედველი ადამიანიც კი ვერ ჰქიდებს თვალს.

— ეს ყველაფერი შენ ახლა მოიფიქრე, არა? სინამდვილეში  
კი, რაც თქვი, სიცრუეა, ხომ?

— სრულებითაც არა. სამყაროში ნამდვილად ყველაფერი  
შედგება უხილავი ნაწილაკებისაგან და მათ ატომები პქვია.



სამყაროში ყველაფერი ატომებისაგან შედგება

ამიტომაც ვამბობთ: ყველაფერი ატომებისაგან შედგება.

— დედამიწაც?

— დედამიწაც.

— ჰაერიც?

— ჰაერიც.

— ვარსკვლავები, მთვარე, მზე?

— ისინიც.

— მე და შენ?

— მე და შენც. ყველა დანარჩენი ადამიანი და ცხოველიც,  
ხომ გითხარი, ყველაფერი, ყველაფერი.

ატომები — პაწაწკინტელა „აგურებია“, რითაც აშენებულია  
სამყარო, ასეთი აგურები შეერთებისას ქმნიან უფრო მოზრდილ  
ნაწილაკებს. მათ, მოლეკულებს ვუწოდებთ. მოლეკულები ატომებ-  
ზე დიდია, მაგრამ არ გეგონოს, რომ შეუიარაღებელი თვალით და-  
ინახავ. მხოლოდ ზოგიერთის, მათ შორის ყველაზე დიდის დანახვა  
შეიძლება, ისიც განსაკუთრებული ძლიერი მიკროსკოპით.

— თუ მოლეკულები ძალიან პატარებია, მაშინ ქვეყნად უთ-  
ვალავი ყოფილა, საინტერესოა რამდენია?

— იმდენად ბევრია, რომ მათი დათვლა შეუძლებელია. არ ვი-  
ცი, როგორ ავხსნა შენთვის გასაგებად... ჰო, მოგიფიქრე! მოცვი  
დაგვეხმარება და აი, ესეც...

საყელოდან ჩეულებრივი ქინძისთავი ამოვაძრე, ყოველთვის  
თან ვატარებ ხოლმე, ვინ იცის რისთვის დამჭირდება. თუ გამეხა  
რამე, ავიღებ და მივიმაგრებ.

— მაშ ასე, ვთქვათ, ეს ფერდობი სულ მთლად მოცვითაა მო-  
ფენილი. შენ ჰერც დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ, შემოდგომა-გა-  
ზაფხულზე, ჰერც და არ თავდება — ახალი მოცვი ამოდის. ასი  
მილიონი კენკრა რომ მოაგროვო, ათეული წლებია საჭირო. ასი  
მილიონი კენკრა ძალიან ბევრია, მთელი მთაა, იმ ნაძვზე მაღალი.  
ასი მილიონი მოლეკულა კი იმდენად პაწაწკინტელაა, ქინძისთა-  
ვის თავში ჩაეტევა, თუმცა ქინძისთავის თავი მოცვის ერთ მარ-

ცვალზე ბეჭრად პატარაა. მთელი მოცვის მთა ქინძისთავის თავში რომ მოთავსდეს, მოცვის მარცვალი ას მიღიონჯერ უნდა შემცირდეს, მაშინ იგი მოლეკულისხელა გახდება.

— თუ ქინძისთავის თავში ასი მიღიონი მოლეკულა ჩაეტევა, — თქვა პეტრემ, — ამ სათამაშო ბურთულაში რამდენი მოთავსდება?

— ალბათ, მიღიარდი, თუ მეტი არა. ბურთულა სომ ქინძისთავის თავზე უფრო დიდია.


## მოუსვენანი მოლეკულები

პეტრე ქინძისთავის ფერად შუშისთავს-ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა.

— არ დამიკარგო, გეთაყვა — ვუთხარი დისწულს — წიწვებში თუ ჩაგივარდა, ვეღარ ვიპოვით. რამდენიც უნდა მოუჭირო ქინძისთავს, მისი მოლეკულების მოძრაობას ამით ვერ შეაჩერებ, მაინც იმოძრავებენ, ერთი წუთითაც არ შეისვენებენ. სხვადასხვა სხეულის მოლეკულები სხვადასხვანაირად მოძრაობენ. მყარ სხეულებში — თუნდაც გრანიტში — მოლეკულები ზანტად გადაადგილდებიან, უფრო უპეტ, ერთ ადგილს ტკებიან. ეს გასაგებიცაა: ისეთ სივიწროვეში, როგორშიც მყარი სხეულების მოლეკულებია, ძნელია გაქცევ-გამოქცევა. წყალსა და სხვა თხევად სხეულებში მოლეკულები უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს, ამიტომაც გაცილებით სწრაფად მოძრაობენ. მაგრამ ყველაზე არხეინად ვაზის მოლეკულები არიან, ფართოდ, ხალვათად ცხოვრობენ და უწესრიგოდ დაფრინავენ აქეთ-იქით. რა პეტრე, ასე საგულდაგულოდ რომ აკვირდები ქინძისთავის შუშის თავს, მოლეკულების მოძრაობა სომ არ გინდა შეამჩნიო? ტყუილად ცდილობ, არაფერი გამოგივა.

— რატომ?

— არ ვიცი, როგორ აგიხსნა... წარმოიდგინე, თითქოს მაღლა თვითმფრინავში ზიხარ. მართალია, ზემოდან ხალხს კი არა, ვე-ებერთელა შენობებსაც ვერ ხედავ, მაგრამ იცი, იქ, სადღაც, ქვე-მოთ, ცხოვრობს შენი დედა, მამა, მეგობრები და მიღიონობით სხვა ადამიანი. იცი, რომ ეს ხალხი დადის ფეხით, მოგზაურობს მატარებლით, ავტომანქანებით. რომ სწორედ დღეს სტადიონზე საინტერესო თამაშია, უამრავი ადამიანი მოიყრის თავს. ყველაფერი ეს შენ იცი, მაგრამ ზემოდან ამის დანახვა არ შეგიძლია. იმიტომ რომ შენთვის ასეთი სიმაღლიდან ადამიანები დაპატარავდნენ, შე-



პაერის მოლეკულებს შორის იმდენი თავისუფალი სივრცეა, რომ მოლეკულები დაუბრულებლად შიდი-შოდიან აქეთ-იქით.

წყალში შეტი მოლეკულაა. წყალი პაერზე მკვრივია. ამიტომაც მოლეკულები თავისუფლად ვერარ მოძრაობენ.

ამ კოგზის ლითონში კი ბევრზე ბევრი მოლეკულაა და მოლეკულებს ცოტა ადგილია რჩებათ სამოძრაოდ. ამიტომ ლითონის მოლეკულები უფრო მკვრივია.

უმჩნეველნი გახდნენ. ისევე შეუმჩნეველნი, როგორც მოლეკულები ადამიანის თვალისათვის.

— რა ეშმაკი ხარ, — შემესიტყვა პეტრე, — ქვეყანაზე რომ ადამიანები არიან, ეს ყველამ იცის, მაგრამ საიდან ვიცით, მოლეკულები რომ მართლა არსებობს?

მზაკვრული შეკითხვაა. უცებ პასუხის გაცემა გამიშირდა.

— ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. ახლა კი, ჩემო კარგო, მოცვი შეაგროვე, მე კი გაავდრებამდე ცოტას მოვისვენებ. — წავილულუდე იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში მოვიფიქ-რებდი რამეს.

პეტრემ მოცვით მთელი ქილა ააგსო. სოკოებიც ბლომად შეაგროვა. ასე რომ, საკმაოდ მოზრდილი ტვირთი ზურგზე მოვიკიდე. ბილიკს გამოვყევი და მშვიდობიანად დაგბრუნდით.

შუადღემ მოაღწია. უცებ მოიღრუბლა. ქალაქებრეთ კაფეში შევედით.

— აქ შევაფაროთ თავი და დავნაყრდეთ. — ვუთხარი დის-ტულს.

პეტრეს წყურვილი ახრჩობდა. მომტანმა ჭიქა გაზიანი წყალი დაუდგა და უოლოს წვენის ჩამატება დააპირა, მაგრამ... შევაჩერე.

— ნება მიბოძეთ, მე ჩავასხა... აი, ახლა, პეტრე — საჭეომოდ წარმოვთქვი, — ჩვენ აღმოვაჩენთ მოლეკულებს!

— მოლეკულებს? აკი მითხარი, მათი დანახვა შეუძლებელია?

— მართალია, თვითონ მოლეკულებს ვერ დავინახავთ, მაგრამ მათ არსებობას გამოვამჟღავნებთ.

ჭიქაში წყლის დაწყნარებას დაველოდე. შემდეგ უოლოს წვენი ფრთხილად ჩაგაწვეთე. სადაც წვეთი დაეცა, იმ ადგილიდან ყოველი მხრით გაიშალა წითელი ნაკადულები.

— როგორ გგონია, რატომ შეერია უოლო წყალს? — შევეკითხე პეტრეს.

— იმიტომ, რომ იგი წყალში იხსნება.

— პასუხი არც ისე ზუსტია. ყური მიგდე: წყლის მოლეკულები, ისევე როგორც ყველა ნიგთიერების მოლეკულები, განუწყვეტლივ მოძრაობები. ამ ხივიწროვეში ისინი წამდაუწუმ ერთმანეთს ეჯახებიან. უცებ მათ გზაზე აღმოჩნდნენ წითელი წვენის მოლეკულები. წყლის მოლეკულებმა მუჯლუბუნი წაპკრეს, გასწიგამოსწიოს დაუპატიუებელი სტუმრები და მათ შორის გაფონებ. ასე გაიშალა წითელი წვენი მთელ ჭიქაში. გამოდის, მოლეკულებს ვერ სედავ, მათ მოძრაობას კი შეგიძლია ადევნო თვალი. ეს მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ მოლეკულები მართლაც არსებობენ და ყოველთვის მოძრაობენ.

## სად გამრა სიგარეტი?

სიგარეტი მოვწიე. უცებ აზრი დამებადა. სიგარეტიც ხომ დაუხმარება, ვუამბო პეტრეს მოლეკულებზე.

— ხედავ, პეტრე, როგორ პატარავდება ოანდათან ჩემი სიგარეტი. სად გაქრა? ერთი ნაწილი ნაცრიდ იქცა, მეორე — ბოლად. ბოლი სიგარეტის უმცირესი ნაწილაკებია. რომლებიც პაერს უერთდება. ხომ ხედავ, როგორ ადის ბოლი. ჟევით რგოლებად, შემდეგ კი ქრება, რა იქნა ბოლი?..

— გაქრა პაერში, — მეუბნება პეტრე.

— მართალია. აბა, სწორად თუ ამიხსნი ამ გაქრობას?... როგორ გაუჩინმაჩინდა ბოლი?...


პეტრე ჩაფიქრდა...

— შესაძლებელია, როგორც ჭიქაში უოლოს წვენი, ისე გადნა პაერში?

— ყოჩად, სწორედ ისეა! — გამიხარდა, — ბოლის ნაწილაკები წვეთია ზღვაში, პაერის უთვალავი მოლეკულის რიცხვთან შედარებით. ბოლოს ნაწილაკები იჭრებიან და იკარგებიან პაერის მო-

ლეგულებში, ფაბრიკის საკვამურიდან გამოსული კვამლის ბოლ-ქებიც კი იფანტება პაერში.

— მაშ, ის ერთი ჭიქა წვენგარეული გაზიანი წყალი, დიდ კასრში რომ ჩაგვესხა, წყალი კასრში ოდნავადაც არ გაწითლდებოდა.



1. წყლიან კასრში ჩაასხეს ხილის წვენი.

2. წვენის მოლეკულები წყლის მოლეკულებს შეერევან.

3. წვენი ხულ გაიხსნა. წყლის დიდ რაოდნობაში ჩაიკარვა. სწორედ ახევვ იკარვება და ქრება პაერში სიგარეტის ბოლი.

## აღვილი ცდა

უცებ ცა მოიქუფრა, ვგრძნობდი გაავდრებას, ჭექა-ქუხილის მოახლოებას. მართლაც მსხვილი წვიმის წვერი ჩვენს მაგიდაზე დაეცა. მოპრიალებულ მაგიდაზე იგი არ დაშლილა. პეტრემ საუერფლიდან ასანთის ღერი ამოიღო და წვეთი პატარ-პატარა ნაწილებად დაყო.

— ძია, წვეთი რომ გავჭერი, მოლეკულებიც გაიჭრა?

— არა, მოლეკულები არ გაიჭრია, შენ მხოლოდ მოლეკულების ერთი ჯგუფი მოაცილე მეორეს. წყლის, პაერისა და საერთოდ გაზის მოლეკულების განცალკევება ძალიან ადვილია, ისინი ხომ ერთმანეთს მჭიდროდ არ ეკვრიან. აბა, შემომხედვე, ხელის ერთი მოქნევით როგორ გავფანტე ბოლი, ე. ი. პაერიც!

როდესაც ასანთის ღერს ვტებ; აი, ასე, ორ ნაწილად, ხის მოლეკულებს როდი ვამტვრევ, მხოლოდ ერთმანეთისაგან ვაცალპევი. ხის მოლეკულები მთელი და უვნებელია. თუმცა ისინი წყლის მოლეკულებზე უფრო მჭიდროდ არიან შეკრულნი.

— თუ არის ისეთი ნივთიერება, რომლის მოლეკულები ძალიან მჭიდროდ, თითქმის მიჯრით ელაგოს ერთმანეთთან?

— ასეთი ნივთიერება არ არის და არც შეიძლება არსებობდეს. სივიწროვეში მოლეკულები ვერ იმოძრავებენ.

— ახლა ბიძიკო მითხარი, რამდენს იწონის მოლეკულა?

— კეთილი. ხომ გითხარი, მოლეკულა პაწაწკინტელაა-მეთქი, მაშასადამე წონითაც ნამცეცაა. არსად ქვეყნად არ არსებობს ისეთი სახსწორი, მოლეკულა რომ აიწონოს. მილიონობით მოლეკულა რომ შეგროვდება, მაშინ სხვა საქმეა — აწონა შეიძლება.

— მოიცა, მოიცა... შენ მითხარი, პაერიც მრავალრიცხოვანი მოლეკულისაგან. შედგებაო. განა შეიძლება პაერის აწონა? აი, გავშალე ხელები, პაერის წონას რომ ვერ ვგრძნობ?

— ამ წუთში დაგიმტკიცებ, რომ წონა პაერსაც აქვს. ჩაგიტარებ ცდას, რომელიც ძალიან დიდი ხნის წინათ მამაჩემმა მიჩვე-

ნა. სხვა ცდებისაგან განსხვავებით იგი ყოველთვის მართლდება. ერთხელ სკოლაში ჩავატარე და მასწავლებელს სახაზავი გავუტეხე.

— დაგხაჯეს? ვინ იცის, სკოლიდანაც გაგაგდეს?

— პირიქით, მასწავლებელმა შემაქო: ცდა შესანიშნავად ჩატარეთ.

— მასწავლე, რა! მასწავლე!

— დიდი სიამოვნებით, ძალიან ადვილია. ერთი მომაწოდე ის თხელი ფიცარი, ეტყობა, ბოთლების ყუთს აგლევია; ჩვენც სწორედ ასეთი გვჭირდება.

პეტრემ ფიცარი მომიტანა. მისი სიგრძე ნახევარი მეტრი, სიგანე ხუთი სანტიმეტრი, სისქე კი ორი მილიმეტრი იქნებოდა.

— აბა, თუ გატეხ, — შევთავაზე დისტულს.

პეტრემ სახაზავს ორივე ხელი ჩასჭირდა, დიდხანს ატრიალა ჰაერში, მაგრამ უშედეგოდ.

— ვერ გატეხე ხომ? ახლა კი სახაზავი მაგიდაზე დადევი. მისი მესამედი მაგიდის კიდეს გადააცილე. თუ ამ გამოშვერილ ნაწილზე მაგრად დაპკრავ ხელს, ფიცარი ადვილად გადატყდება.

პეტრემ უნდობლად შემომხედა, არ დაელოდა ცდის ბოლომდე ახსნას და, რაც ძალი და ღონე პქონდა, ფიცრის გამოშვერილ ნაწილს ხელი დაპკრა. მისმა აჩქარებამ თავზარი დამცა. ცდა ხომ ჯერ არც იყო მომზადებული. ფიცარი კაფეს ბოლოში მდგარ მაგიდისაკენ ჩიტივით გაფრინდა. მაგიდასთან ხალხი ისხდა. სასწრაფოდ ფეხზე წამოვხტი. როგორმე უნდა მიმესწრო ფიცრისათვის, აყალმაყალის შეშინოდა, გავვარდი მაგიდებს შორის, სიჩქარეში ვიღაცას ქუდი გადავუგდე, ვიღაცას მაგიდა გადავუყირავე, იქვე, მაგიდიდან ქალი წამოდგა. აბა, მისგან ხელის შეშლას როგორ ავიტანდი. მხრებში ვტაცე ხელი, სკამზე დავსვი და სანამ დაბნეული ქალი ყვირილს მოასწრებდა, იქაურობას გავეცალე.

ჩემდა ბედად ფიცარი ხელა მიფრინავდა. ჰაერში რკალი შემოხაზა, რამაც მისი დავარდნა რამდენადმე გაახანგრძლივა. მიუ-

სედავად დაბრკოლებებისა, დროზე მივასწარი. ერთი ხელით მურინავი ფიცარი დავიჭირე, ხოლო მეორეთი მაგიდაზე სავსე ბოთლს ვტაცე ხელი: არ გადავაყირაო-მეთქი. იქ მსხდომთ დამნაშავესავით გაგუღიმე, ზრდილობიანად თავი დავუკარი, რაღაც ჩავიტურტყუნე და სანამ შიში და შეშფოთება გაუვლიდათ, საჩქაროდ წამოვედი.

— მოდი, სხვაგან გადავსხდეთ, — ვუთხარი პეტრეს, როგორც კი დავბრუნდი „გმირული მოგზაურობიდან“.

ამჯერად ხის ძირში მივუკექით მაგიდას. იქ, ყოველ შემთხვევაში, არც ისე ადვილად მოვხვდებოდით თვალში კაფეს გაოცებულ სტუმრებს.

— ძია, შენ მითხარი, ფიცარი გატყდებაო, — ჰაერში რომ აფრინდა? აკი ცდა ყოველთვის გამოდისო?

— ხომ ხედავ, აჩქარდი, ცდის მომზადება არ მაცალე. ახლა კი უეჭველად გამოვა.

ჯიბიდან გაზეთი ამოვილე. მაგიდაზე ისე გავშალე, კიდეს არ გადავაცილე. ქვეშ ჩვენი ფიცარი ამოვუდევი. გაზეთი გავასწორე, ზედ მაგრად დავაწექი, ფიცარსა და გაზეთს შორის არე რომ არ დარჩენილიყო.

შემდეგ ირგვლივ ყურადღებით გავიხედ-გამოვიხედე. ცდა ამჯერად უეჭველად უნდა გამოსულიყო. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენი ფიცარი კვლავ გაინავარდებდა, იქით მაინც გაფრინდებოდა, სადაც არავინ იჯდა.

— ახლა კი — მივუბრუნდი პეტრეს — უფრო ძლიერად და ღონივრად დაპკარი.

— ხომ არ დაიჭერ? — შიშით მკითხა პეტრემ.

— მე არა. სხვა რამ დაიჭერს.

პეტრე გაკვირვებით დამაცქერდა, მშვიდი მზერა შევაგებე: დარწმუნებული ვარ წარმატებაში-მეთქი.

— ნუ გეშინა, დაარტყი! — გავამხნევე.

პეტრემ დაპკრა. გაისმა ტკაცანი. ფიცარი გადატყდა, ცდა გამოვიდა.

— იცი, ვინ დააკავა ფიცარი? — შევეკითხე პეტრეს.

პეტრემ გაზეთის ქვეშ ისე შეიხედა, თითქოს იქ ვინმეს დამალვა შეიძლებოდა.

— არავინ.

— ცდები, ჩემო ძვირფასო, ვიღაცამ დააკავა ჩვენი ფიცარი, და ეს „ვიღაცა“ — პაერია.

— საოცარია... — გაიკვირვა პეტრემ — რა „ჭირვეული“ პაერია? ჯერ არ მოისურვა ფიცრის დაჭირა, გაზეთი რომ გადავაფარეთ, დააკავა.

— მართალი ხარ. ეს „ჭირვეულობა“, როგორც შენ დაარქვი, ძნელი ამოსაცნობი როდია. ყოველ საგანს აწვება პაერი. საგნის ზედაპირის ყოველ კვადრატს, რომლის ოთხივე გვერდი ერთი სანტიმეტრის ტოლია, პაერი აწვება ერთი კილოგრამის ძალით. ასე რომ, ყოველი კვადრატი ნებისმიერი საგნისა, ცხოველისა თუ ადამიანისა, თან ატარებს ერთი კილოგრამის ოდენ ტვირთს. მაშასადამე, გაზეთსაც აწვება პაერი, თუ რა ძალით, ახლავე გამოვიანგა-



რამებთ; გაზეთის სიგრძე 60 სანტიმეტრია, სიგანე — ორმოცი, ე. ი. ამ გაზეთის სიგრძეზე დაეტევა — 60 კვადრატი, ხოლო სიგანეზე — 40. რამდენი დაეტევა სულ? სამოცი — ვუკარნახე მე.

— ორმოცჯერ გავამრავლოთ. — დაასრულა პეტრემ.

— სწორია. ეს იქნება სულ ორი ათას ოთხასი კვადრატი. რომლის ყოველი გვერდი უდრის ერთ სანტიმეტრს და ერთი კილოგრამით აწვება ზედაპირს. გაზეთზე მოთავსდა ორი ათას ოთხასი კვადრატი.


— მაშასადამე გაზეთის აწვება ორი ათას ოთხასი კილოგრამი ჟაერი, — თქვა პეტრემ.

— დიახ, თითქმის თრტონანახევარი. პატარა წონა როდია. დაახლოებით ამდენივეს იწონის სატვირთო მანქანა. აი, რა ძალამ დააკავა გაზეთი. ამ წონის ნაწილი კი ჩვენს ფიცარზეც მოქმედებდა, ამიტომაც იდო ფიცარი გაუნძრევლად. ახლა მინდა მოგითხოო მხოლოდ იმაზე, თუ რატომ აწვება პაერი ყოველ საგანს? იმიტომ, რომ მის მოლეკულებს წონა გააჩნიათ. ცალკე აღებული პაერის მოლეკულის წონა ძალიან უმნიშვნელოა, მილიონ მოლეკულის კი საკმაოდ დიდი. წონა აქვს. ერთ პურის მარცვალს, აბა, რა წონა აქვს, ხოლო ერთ ტომარა ბურის მარცვალს ყველა როდი ასწევს.

— სახლში ამ ცდას აუცილებლად ჩავატარებ, — მითხრა პეტრემ — რა საინტერესოა, დაინახო, პაერსაც რომ წონა აქვს. სახლში სწორედ კარგი ფიცარი, უფრო უკეთ, ძველი სახაზავი მაქვს.

— ამ ცდისთვის სახაზავი ზედგამოჭრილია. მთავარია, გაზეთი მჭიდროდ ეკვრებოდეს მაგიდას. ხელით კარგად უნდა გაასწორო. გაზეთსა და მაგიდას შორის ხვრელი თუ დარჩა, ცდა არ გამოვა. ხვრელში პაერი შეიჭრება და გაზეთს მარტო ზემოდან კი არა, ქვემოდანაც მოაწვება. ზემოდან დაწოლის ძალა, ქვემოდან მოწოლისას გაუტოლდება. თითქოს სასწორის ჯამებია, რომელ-ზედაც ერთი და იმავე სიდიდის ტვირთია დადებული. გაზეთიც სახაზავს აღარ დაიჭერს. დაპკრავ სახაზავს, ის კი გაფრინდება, როგორც წელან ჩვენ შეგვემთხვა. ხოლო თუკი ქაღალდს ხელით

კარგად გაასწორებ, მაშინ პაერი გაზეთს მხოლოდ ზემოდან და-  
აწვება, სახაზავს მაგრად დააკრაგს მაგიდაზე და შენც ერთი დარ-  
ტყმით გადატეხ.



## მოლეკულებზე ამხედრებული კიტრების მოსატანად

სადილობის დრო მოახლოვდა. სამზარეულოდან შემწვარი  
სორცის მადის აღმძვრელი სუნი გვცემდა.

— მალე ბევრი ხალხი მოიყრის თავს, — ვუთხარი პეტრეს; —  
სანამ გვიან არ არის, წავიდეთ, ერთი რაიმე გემრიელი შევუპ-  
ყოთო.

სამზარეულოში საქმეში ყელამდე ჩაფლული ერთი მზარეუ-  
ლი დაგვხვდა. ქალი კეთილი აღმოჩნდა. ოდნავადაც არ განაწყე-  
ნებულა, საქმეს რომ მოვაცდინეთ. სიამოვნებით გვიპასუხა, თუ  
რა ექნებოდა დღეს სადილად, ჩვენ ისდა დაგვრჩენოდა, გემრიელი  
შერიძი შეგვეკვეთა.

— კატლეტები, ძია, კატლეტები, — მიჩურჩულა პეტრემ.

— ორი ულუფა კატლეტი, თუ შეიძლება, — ვუთხარი მზა-  
რეულს.

— დიდები, დიდები! კიტრებიც არ დაგვიწყდეს, — არ მასვე-  
ნებდა პეტრე.

მზარეულს გაეღიმა.

— ნუ გეშინია, შიმშილით არ მოკვდები, დანაყრდები. აბა, შე-  
ხედე, რამოდენა კატლეტებია! სალათას კი სამწუხაროდ ბევრს  
უერ მოგართმევთ. ჩემი დამხმარე გოგონა კიტრების მოსატანად  
მინდოდა გამეგზავნა, მაგრამ ჭექა-ქუხილის დროს უამრავი ხალ-  
ხი მოგვაწყდა. გოგონა მიმტანს მიემველა, კიტრების თავი, აბა,  
ვიდას ექნებოდა?

დასანანია! პეტრეს ძალიან უყვარს კიტრის სალათა, მეც არ  
ვიტყოდი უარს.

— კიტრები შორიდანაა მოსატანი? იქნებ ჩვენ შეგეშვე-  
ლოთ, — შევთავაზე მზარეულს.

— სამწუხაროდ შორიდანაა. მემწვანილე მდინარის გაღმაა.  
ყოველთვის ველოსიპედით დავდიგართ, დღეს ველოსიპედიც გაგ-  
ვიფუჭდა, საბურავი გაუსკდა.

— ძია, შეიძლება, მე წავალ. — შემეხვეწა პეტრე.

— ჯერ ველოსიპედი ვნახოთ რა მდგომარეობაშია. ქალბატონი, თქვენ იმ ველოსიპედზე ბრძანეთ, თალარქვეშ რომ დგას?

— დიას, დიას, მართლა დამესმარებით? — გაუხარდა მზარეულს, — ოო, მაშინ ჩემო ბიჭუნავ, ძალიან დიდს, თეფშის ოდენა კატლეტს მიიღებ, სალათასაც რამდენსაც მოისურვებ

ველოსიპედი შევათვალიერეთ. უკანა ბორბლის კამერა დაშვებულიყო. სადღაც ნაჩხვდეტია. — გავიფიქრე.

მე და პეტრე საქმეს შევუდექით. კამერა რეზინის წებოთი საგულდაგულოდ დავაწებეთ. თავით-ფეხებამდე ამოვითხუპნეთ. ბორბალი მაგრად გავბერეთ. სანაქებოდ ვიშრომეთ. კარგადაც შეგვეკეთებინა. — ბორბალი არ დაშვებულა.

— აბა, ტუმბოს ხელი შეახე, როგორ გახურდა? — ვუთხარი პეტრეს:

— მართლაც ცხელია, — თავი დამიკრა პეტრემ.

— რატომ გახურდა, როგორ გგონია?

— რატომ? — გაუკვირვა პეტრემ, — იმიტომ რომ, დგუში ზე-ვით-ქვევით მოძრაობს, ეხახუნება ტუმბოს კედლებს, ამიტომაც გახურდა.

როგორც ჩანს, ჩემს დისწულს სადღაც უკვე სმენია ამის თა-ობაზე.

— ჰმ... ეს სწორია, მაგრამ — ნაწილობრივ, აბა ხელი მოჰკიდე რეზინის მიღს, რითაც ტუმბო საბურავს უერთდება.

— ისიც გაცხელებულა, — გაუკვირდა პეტრეს.


— აქ ხომ არავითარი დგუში არ მოძრაობს, კედლებს რომ მიეხახუნოს?

პეტრე ჩაფიქრდა.

— შევეცდები, აგიხსნა, პირველ რიგში ისევ მოლეკულები უნდა გავიხსენოთ. — ვუთხარი პეტრეს, — მოლეკულები, რისგანაც შედგება ნივთიერება, არასოდეს არ არის არც ცხელი და არც ცი-კი. მაგრამ მოლეკულები რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ, მით უფრო ცხელდება ამ მოლეკულებისაგან შემდგარი ნივთიერება.

მოლეკულები და სამგზავრო რეაქტიული თვათმფრინავი სიჩქარეში ერთმანეთს რომ შეიჯიბრონ, მოლეკულები გაიმარჯვებენ.

აქეთ-იქით მიხეთქების ნაცვლად, მოლეკულებს რომ პეტონდეთ საშუალება ერთი მიმართულებით მოძრაობასა, ერთ საათში ორჯერ გადასერავდნენ მთელ ჩეხოსლოვაკიას.



— რა სიჩქარით მოძრაობენ მოლეკულები?

— პაერის მოლეკულები ისე სწრაფად მოძრაობენ, რეაქტიული თვითმფრინავიც ვერ დაეწევა. როდესაც პაერის ტემპერატურა თვრამეტი გრადუსია, მოლეკულების სიჩქარე დაახლოებით სუთასი მეტრია წამში. წუთში რამდენი იქნება?

— წუთში, ხუთასი გამრავლებული სამოცხე — ოცდაათი ათასი მეტრი, ოცდაათი კილომეტრი.

— სწორია. საათში ეს სიჩქარე ათას რვაასი კილომეტრია. მაშ, ერთ საათში მთელ ჩეხოსლოვაკიას მოლეკულა ორჯერ გადასერავდა ერთი ბოლოდან მეორემდე — აღმოსავლეთიდან დასავ-

ლეთამდე და დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე. მგონი ორჯერ მეტადაც კი.

— აი, მესმის სიჩქარე! — გაკვირვებულმა პეტრემ ხელებიც კი გაშალა, — თუ ჰაერის მოლეკულები მუდმივ მოძრაობაში არიან, თანაც ასეთი სიჩქარით მოძრაობენ, საშინელი ქარი უნდა ქროდეს.



— არა, ჩემო კარგო, ჩქარა მოძრავი მოლეკულები განუწყვეტლივ იცვლიან მიმართულებას. ამიტომ შორს ფრენა არ უწევთ. ამოძრავდებიან თუ არა, იქვე ეჯახებიან თავიანთ თანამოძმებს და სხვადასხვა მხარეს გაიბნევიან. შემდეგ სხვა მოლეკულებს დაეჯახებიან და ისევ განიბნევიან, ასე დაუსრულებლად მოძრაობენ წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, განუსაზღვრელი მიმართულებით.

— როგორც ბურთი ტენისის თამაშის დროს, არა?

— დაახლოებით. თუმცა მოლეკულების მოძრაობა მაგიდის ჩოგბურთის ბურთების მოძრაობას უფრო ჰგავს, როცა ისინი ყუთშია ჩალაგებული და ყუთს განუწყვეტლივ ანჯღრევენ. ყუთში ბურთები ერთმანეთს ეჯახებიან. გასხლტებიან სხვადასხვა მხარეს და ისევ ეჯახებიან... მოლეკულებიც ამ ბურთებს ჰგვანან, ოდონდ იმ განსხვავებით, მათ არავინ ანჯღრევს — თვითონ მოძრაობენ.

— გასაგებია... რა კავშირი აქვს ამას ტუმბოს ჰაერის მოლეკულებთან? — დაინტერესდა პეტრე.

— პირდაპირი კავშირი, პირდაპირი. როდესაც დგუში ქვევით ჩაგვავს, აწვები შიგ მყოფი ჰაერის მოლეკულებს. გაზებმი, ხომ გითხარი, მოლეკულების რაოდენობა ნაკლებია-მეთქი, ვიდრე თხევად ან მყარ სხეულებში. გაზებმი მოლეკულებს შორის თავისუფალი ადგილი მეტია. ჰაერს რომ ტუმბავ, აიძულებ მოლეკულებს, შემჭიდროვდნენ, ამიტომაც ჰაერის მეტი მოლეკულა ეტევა კამერაში. ახლა ისეა დატენილი კამერა ჰაერის მოლეკულებით, როგორც ჩვენი ავტობუსი ამ დილით.



მოლეკულები მუდამ ერთი მიმართულებით ვერ იმოძრავებენ, რადგანაც წამდაუწუმ ეჯახებიან ერთმანეთს და გებს იცვლიან. ერთი სიტყვით, მოლეკულები ჰგვანს მაგიდიდნ ასხლებით ჩოგბურთის ბურთის.

უმჯობესია, თუ მოლეკულების მოძრაობას შევაღრებთ ყუთში ჩალაგებული მაგიდის ჩოგბურთების მოძრაობას. შევანჯღრით ყუთი, — ბურთები ერთმანეთს დაეჯახებიან, უწესრიგოდ გაიფარტებიან აქეთ-იქით.



— ეს გავიგე. გაუგებარია, რატომ გახურდა ტუმბო: იმ სივიწროვის გამო, რომელშიც ახლა მოლეკულები არიან, თუ მოლეკულების სწრაფი მოძრაობის გამო? ადრე შენ მითხარი, მოძრაობისაგანო.

— ორივე მიზეზის გამო. წარმოიდგინე, გაქვს ტენისის ბურთი, მთელი სიძლიერით გაისროლე, განდა მოახვედრო შორს მდგარ ხეს, მაგრამ ბურთი ახლოს მდგარ ხეს მოხვდა. ახლო ხიდან ბურთი უფრო ძლიერად მოსხლტება, ვიდრე შორეული სიდან მოსხლტებოდა. აი, სწორედ ასე სხლტებიან ჰაერის მოლეკულები დგუშიდან, მაგრამ ხე ადგილზე დგას, დგუში კი მოძრაობს, ძლიერად აწვება მოლეკულებს, აიძულებს, უფრო სწრაფად მოსხლტნენ, ვიდრე დგუშის უმოძრაო კედლებიდან სხლტებიან. რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ მოლეკულები ნივთიერების შიგნით, მით უფრო თბება ეს ნივთიერება. იგივე ხდება აქაც. დგუშის მოძრაობის გამო ჰაერის მოლეკულები ტუმბოს შიგნით უფრო სწრაფად დაფრინავენ. ჰაერიც ამიტომ თბება. ჰაერის სითბო გადაეცემა ტუმბოს კედლებს, რეზინის მილს, რომელიც ტუმბოს აერთებს საბურავთან. ცოტაოდენი ხითბო საბურავსაც გადაეცემა.

— ძია, აი, ასე ჰაერს ჩქარ-ჩქარა ხელს რომ ვუჭერ, ხელი რატომ არ თბება?



— იმიტომ რომ, ჰაერის ხელით დაჭერა იგივეა, წყალი რომ ზიდო ცხრილით. ჰაერი თითებსმორის სხლტება. აბა, ასეთი ცდა ჩაატარე... ჯერ ქურთუკი ჩაიცვი, ხომ ხედავ, როგორ აგრილდა. ქურთუკი ცდის ჩატარებაშიც დაგვეხმარება. დავიწყოთ: ღრმად ჩაისუნთქე, ფილტვებში ბევრი ჰაერი დაიგროვე. ახლა კი ტუჩები ქურთუკის ხახელოს მჭიდროდ მიადევი, რამდენიმეჯერ ძლიერად ამოისუნთქე... რა იგრძენი?

— ხელი გამიხურდა, — თქვა ჰეტრემ.

— აბა, თუ ამისხნი, რატომ?

— ვერ აგხსნი.

— ტუჩებთან ხელის გული შიიტანე, ტუჩებს არ შეეხო, ახლა ძლიერად ამოისუნთქე. გაგითბა ხელისგული?



რატომ გახურდა ტუმბო? როდესაც დგუში ზევითაა აწეული, ტუმბოში ჰაერის მოლეკულები თავისუფლად მოძრაობენ. როცა დგუშს დაწვება, ჰაერი ტუმბოში შეგიწროვდება და რეზინის მილით ველოსიტეტის კამერაში გადაიღვრება.

დგუში რომ ჰაერს დაწვება, ჰაერის მოლეკულები შემჭიდროვნენ, მიეკვრნენ ერთმანეთს. მას შემდეგ რაც მანძილი მოლეკულებს შორის დაპატარავდა, ისინი უფრო ხშირად და ძლიერად ეჯახებან ერთმანეთს. სწორედ მოლეკულების ასეთმა დაჯახებამ ერთმანეთთან, კადლებთან და დგუშთან გაათბო ტუმბო, რეზინის მილი და საბურავი.

— არა, არ გამობარა, თუმცა გამობარი ჰაერი ამოვისუნთქე.

— ახლავე აგისხნი რაშია საქმე, აქაც იგივე მოხდა, რაც ტუმბოში, ოღონდ იმ განსხვავებით, ამოსასუნთქ ჰაერს ძალას შენ ატან, იქ კი ამას დგუში აკეთებს. იქაც და აქაც ჰაერი იკუმშება. მოლეკულები შემჭიდროვდებიან და გაცილებით მცირე მანძილზე ფრენენ. რის გამოც უფრო სწრაფად და ძლიერად ეჯახებიან ერთმანეთს, სხლტებიან დიდი სიძლიერით და სიჩქარით, ჰაერი ამიტომ თბება, ცხელდება. ასეთი ჰაერი დაგროვდა შენი ქურთუ-

კის სახელოში და შენც იგრძენი. ხელისგულს რომ შეუბერე, პა-  
ერი სულ არ შეგუმშულა, მოლეკულები არ აჩქარებულან, თავი-  
სუფლად დაიფანტნენ, ამიტომაც არ გაგითბა ხელისგული.

— ძია, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ კიტრების მო-  
სატანად არ წავიდეთ? ბორბალი ხომ კარგა ხანია შეგაკეთეთ. თუ  
შეიძლება მე წავალ — შემეხვეწა დისწული.

საბავშვო ველოსიპედი არ იყო, ამაში პეტრე თვითონ დარ-  
წმუნდა, გაატარ-გამოატარა, სატერფეებს ფეხით ვერ მიწვდა,  
თუმცა მარწმუნებდა, ჩემი ზომისააო.

— ვერ გაგიშვებ, ჩამოვარდები — წასვლის ნება არ მივეცი,  
მე თვითონ შევჯექი ველოსიპედზე, იმ ჰაერის მოლეკულებზე, ვე-  
ლოსიპედის საბურავებში ჩვენ რომ შევრეკეთ და კიტრების მოსა-  
ტანად წავედი.

ბევრი კიტრი მოვიტანე. გახარებულმა მზარეულმა ვეებერ-  
თელა კატლეტები და კიტრის სალათა იმდენი მოგვართვა, პეტრე  
ნახევარსაც ვერ მოერია.

## ცხვლი სუპი

კი, მაგრამ რატომ დავიწყე მეორე კერძით? ჰირველ კერძად  
ხომ შესანიშნავი ვერმიშელის სუპი გვქონდა? სუპი ცხელი იყო,  
პეტრემ თეფში სული შეუბერა, ცოტა რომ გაეგრილებინა წვენი.

- ისევ მოლეკულები. — ვთქვი და პეტრეს შევხედე.
- რა მოლეკულები? — იკითხა გაკვირვებულმა პეტრემ.


— დიახ, სწორედ მათზეა დამოკიდებული სუპის გაცივება.  
სულის შებერვით თეფშიდან ამოფრენაში ეხმარები მოლეკულებს.

- მაინც როგორ ცივდება სუპი?
- ახლა გაიგებ. შორიდან მოვუკლი. აი, ტუმბოში შენ ჰაერის  
მოლეკულების მოძრაობას აჩქარებდი იმით, რომ დგუშს აწვებო-  
დი მოლეკულების მოძრაობის აჩქარება შესაძლებელია მაშინაც,


თუ მათ გავაცხელებთ. როდესაც წვენი იხარშებოდა, მისი მოლე-  
კულები აწყდებოდნენ აქეთ-იქით სულ უფრო დიდის სიჩქარით.  
ზოგი მოლეკულა სხვებზე ადრე და უფრო ძლიერ გახურდა. სწრა-  
ფად ამოძრავდა, სხვებს გაასწრო და ქვაბის თავზე მოექცა. გასწი-  
გამოსწია შედარებით ცივი მოლეკულები და ქვაბიდან ამოხტა,  
ყოველთვის, როდესაც ქვაბიდან ან ჩაიღნიდან ამომავალ ორთქლს  
დაინახავ, იცოდე, ხტებიან გაცხელებული მოლეკულები. ახლაც  
სტებიან შენი თეფშიდან მოლეკულები, სედავ სუპს ორთქლი ას-  
დის? როდესაც სუპს სული უბერავ, ორთქლის სხვა მოლეკულებს  
ეხმარები, თეფშიდან რომ ამოფრინდნენ.

— კი მაგრამ ეს სუპს რატომ აცივებს?


ორთქლის მოლეკულები თავისთავად ამო-  
რინდებიან თეფშიდან.




ორთქლები გრიგალივით გაექანნენ, რო-  
დესაც თეფში სული შეგუბერეთ.



ორთქლის ჭენა, თითქოს თავსახურავია, იცავს  
სუპს აორთქლებისაგან.



როდესაც ცხელ სუპს სული,  
უბერავ, ამით ეხმარები ცეცხაზე  
სწრაფ მოლეკულებს, დაძლიონ  
სხვა მოლეკულებთან შეჭიდულო-  
ბა და პაერში ამოფრინდნენ. წარ-  
მოშობა ორთქლი. მაგრამ ამასე  
იხარჯება ხითი, ამიტომაც ცივ-  
დება დარჩენილი სითხე.



## ორთქლის მანება დგუგი

კველაფერი სამყაროში განუწყვეტელ მოძრაობაში. თვით სიცოცხლეც მუდმივი მოძრაობა. ერთ შესდგით უმოძრაო სხეულშიც მოძრაობაა დაფარული, — მოლექულების მოძრაობა, თაგბრუდამხევები სიჩარით რომ დაქრიან. მოლექულების მოძრაობა უდევს საფუძვლად კოველიებს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. ორთქლმავალი, ორთქლის მანქანაში ორთქლას მოლექულები აწვდიან დგუშს და მოძრაობაში მოჰყავთ. დგუშის მოძრაობა ბრძლებს და აა, კეებერთელა თრთქლმავალი მიიწევს წინ, თან უამრავ გაგრის მიათვევს. ძრავაში გაზის მოლექულების მოძრაობა ამჟამებს აკომანქანებს, თვითმფრინავებს, გემებს. ტექნიკა უამრავ მაგალითს იძლევა ამისა, თუ როგორ იყენებს ადამიანი თავისი გიზნებისა-თვის მოლექულების მოძრაობას.

— საიდუმლოების ასსნა ადგილია. სანამ მოლეკულები თეფ-შიდან ჰაერში აფრინდებიან და ორთქლად გადაიქცევიან, ხარჯა-ვენ ენერგიას ერთმანეთთან შეჭიდულობის დასაძლევად. ამის-თვის სითბო იხარჯება. ამიტომაც ცივდება სუპი.

— თუ ასეა, სუპი სულ მალე გაქრება!

— იგი მართლაც გაქრება, შეჭამ და მორჩა. ხოლო აორ-თქლდება უმნიძვნელო ნაწილი, რასაც ვერც კი შეამჩნევ.

— პო, ვთქვათ, მივატოვე სულის შებერვა, გამოდის, სუპი არ უნდა გაცივდეს. ასე რომ არ ხდება?

— რასაკვირველია, სუპი შენი დახმარების გარეშეც ვადიო—

Digitized by srujanika@gmail.com

დება, ქურაზე ხომ არაა შემოდგმული, მაგიდაზეა, მისი მოლეკულები თანდათან წყნარდებიან. ანელებენ ფრენას, სირბილს. მაგრამ როდესაც სულს უბერავ, გაცილებით ჩქარა ცივდება კერძი. ეს იმიტომ, რომ გარეთ ერეპები ყველაზე მეტი სითბოს შემცველ სწრაფი მოლეკულების ნაწილს.

— ალბათ, გაცივდა ჩემი წვნიანი, — თქვა პეტრემ და სავსე კოვზი პირში იტაკა. მაგრამ უცებ დაახველა და ენადათუთქულმა ძლიერს ამოილებლუდა — არა, ჯერ ცხელია.

— რა თქმა უნდა, ცხელია, — დავეთანხმე მე. — უკვე რამდენი-  
მე წუთია, სული არ შეგიბერავს. ამასობაში თეფშის თავზე ქონის  
უენა გაჩნდა. ხედავ? წყლის მოლეკულებმა — წვნიანის უმეტესი  
ნაწილი ხომ წყალია! — ვერ დაძლიერ ეს დაბრკოლება, ძალა არ  
ყოფნით ამისათვის. აქ ყველაზე მოძრავი, ყველაზე ცხელი მოლე-



ქულებიც კი ბრკოლდებიან. შენ შეგიძლია იხსნა ისინი ტყვეობისაგან. მოურიე სუპს კოვზით, გაარღვიე ეს დაბრკოლება, ცხელი მოლეკულები მაშინვე ამოხტებიან, გარდა ამისა, ხელს შეუწყობ ზევით ამოტივტივდნენ და გაფრინდნენ ის მოლეკულებიც, უფრო ქვევით, სიღრმეში რომ არიან. ამიტომ გირჩევ, სუპს სული კი არ შეუბერო, კოვზით მოურიო. ეს უფრო სწორია და გარდა ამისა უზრდელობაშიც არ ჩაეთვლება.

— ხედავ! — გაიკვირვა პეტრემ — ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩემი სუპის ორთქლი წყლის მოლეკულების ღრუბელი იყო.

— რამდენიც უნდა გაიკვირვო, ეს ასეა, ჩემო კარგო, ალბათ იცი და სკოლაშიც ბევრჯერ გსმენია, ორთქლს რომ უდიდესი ბალა აქვს. წყლის უხილავი მოლეკულები, რისგანაც ორთქლი შედგება, ამოძრავებენ ელექტროსადგურების ტურბინებს. ეწევიან მატარებლებს, უამრავ სასარგებლო საქმეს სჩადიან. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მართლაც არსებობენ უხილავი მოლეკულები.

## გულების ანგაზო

სადილის შემდეგ გამოიდარა და ჩვენც კვლავ ტყისკენ გავეშურეთ. ხის ფოთლებსა და ბუჩქებზე მარგალიტებად ეკიდა წვიმის წვეთები, თუ ოდნავ მიეკარებოდით, ცივი შხაპით თავით ფეხებამდე ამოილუმპებოდით. არც გამკვირვებია, პეტრე ამჯერად ბილიკს რომ გაუყვა და დაყოლიება არ დაშვირდა. სველ ტევრში გავლა არ უნდოდა, მხოლოდ იშვიათად სოკოს საძებრად თუ გადაუხვევდა გზიდან.

მოულოდნელად პეტრემ გამახარა. მომიტანა... სოკოები კარა, დაკარგული წიგნი. ტყები ეპოვა დაფლეთილი, დაჭმუჭნული, ტალახში ამოსვრილი. თანაც წიგნი სხვისი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე დავდექი, გავხალისდი, მშრალი, მყუდრო ადგილი ამოვირჩიე; წამოვწვები და წაგიკითხავ-მეთქი, გავიფიქრე.

მაგრამ პეტრემ მახლობელ ხესთან ჭიანჭველების ბუდე აღმოაჩინა. ბუდის გარშემო პაწაწინა მწერები ბეჯითად შრომობდნენ.

— ძია, ალბათ ყოველი საგანი ისევე შედგება მოლეკულებისაგან, როგორც ეს ჭიანჭველების ბუდე ქვიშისაგან, არა?

— დაახლოებით ასეა, თუ მოლეკულას პაწაწინტელა ქვიშად წარმოიდგენ, თუმცა სინამდვილეში ყველაზე დიდი მოლეკულა ქვიშად პატარა ქვიშის ნამცეცზე ბევრად უფრო პატარაა.

— რატომაა ყველა მოლეკულა ერთნაირი, მისგან შემდგარი საგნები ხომ სრულებითაც არ ჰგვანან ერთმანეთს. ავიღოთ თუნდაც ხე და წყალი. რა არის მათში საერთო?

— საინტერესოა, ვინ გითხრა, რომ ყველა საგნის მოლეკულა ერთნაირია და ერთმანეთს ჰგავს? არა, პირიქით, სრულებითაც არ ჰგვანან. წყლის მოლეკულა მკვეთრად განსხვავდება ხის მოლეკულებისაგან. სხვადასხვა საგნებს სხვადასხვანაირი მოლეკულები აქვთ.

— მაინც რატომ არ ჰგვანან ერთმანეთს?

— იმიტომ რომ ყოველი მათგანი, ატომების სხვადასხვა რაოდენობას შეიცავს. შეხედე ამ ქვას. ფიქალია. იგი შედგება მოლეკულებისაგან. ხოლო ყოველი მისი მოლეკულა შეიცავს სხვადასხვა ატომს. ყველაფერი ქვეყანაზე მხოლოდ ასეთი მოლეკულებისაგან რომ იყოს შემდგარი, მაშინ ქვეყნად არაფერი და არავინ არ იქნებოდა გარდა ფიქალისა. ატომები ერთმანეთს სხვადასხვანად უერთდებიან, რითაც სხვადასხვაგვარი ნივთიერების მოშენებს ქმნიან.


— როგორ ხდება ეს? რაღაც ვერ გავიგე...

— არ ვიცი, როგორ აგიხსნა... იქნებ ამაში ანბანი დაგვეხმაროს? რამდენი ასოა ჩებურ ენაში?

— ოცდაექვსი.

— აბა, ლექსიკონში ჩაიხედე, რამდენი სიტყვაა? — რამდენიმე სთასი. მაში, ოცდაექვსი ასო საკმარისია უამრავი სიტყვის შესაძლებენად. ასეა ატომებშიც.

ატომებიც ასოებს ჰგვანან, ბუნების ასოებს. მართალია, ბუნების ასოებიც არ ჩაეთვლება.



ჩვენს გარშემო ყველაფერი, მთელი სამყარო, მთელი ქვეყნიერება 92 ელემენტისაგან შედგება. ყოველ მათგანს მეცნიერებმა მისცეს თავისი ნიშანი, თავისი ასო, რომელიც ამ ელე-, მენტის ლათინური სახელწოდების პირველი ასო (მაგალითად, წყალბადი — H-hydrogenium ან ურანი — U-uranium).

იშვიათი ელემენტი


ბის ანბანში გაცილებით მეტი ასოა. სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ასოებიდან მიღიონთბით სიტყვას ქმნიან, ახევე ბუნების ატომებისგან მიღიონ მოლეკულას ქმნის. ყველაფერი ატომებისგან შედგება — მთელი ქვეყანა, მთელი დედამიწა!

მათი სახელებია ელემენტები და ყოველი მათგანი შედის ელემენტთა ცხრილში.

ბუნებაში ცხობილია 92 ელემენტი.\*

მათ რიცხვში შედის წყალბადი, უანგბადი, აზოტი, ოქრო, ტყვია, რკინა, ვერცხლი, და სხვები. მათგან შედგება მიღიონი სხვადასხვა ნივთიერება.

\* ჩვენს დროში შეცნიერებმა შეძლეს კადევ ათი ელემენტის მიღება სელოვნურად. მაგ. ურანიული (Np), ბლუტონიუმი (Pu), ამერიკიუმი (Am), კარიუმი (Cm) და სხვები. 1974 წ. უდიდესობის ბ. ფლეროვის სელმძღვანელობით დაბნელ მეცნიერობა ჯგუფი მიაღი 106-ე ელემენტი. (მორჩამელის შენიშვნა).



სულის მოლეკულა

გიგართ, რომ კველაფერი დედამიწაზე და მთელ სამყაროში მსოლოდ რამდენიმე ათეული ელემენტისაგან შედგება?

ანბანში ხომ ნაკლები ასოა, მაგრამ არავის უკვირს, ამ ასოებიდან ათასობით სხვადასხვა სიტყვა რომ მაღვება.


## ატომის გუთმრიგოლი

პეტრე სოკოვებზე წავიდა. მე კი ახალი ადგილი შევირჩიე და-სახვენებლად. იქვე, ახლოს, უამრავი ჭრელი კენჭი ეყარა. ბლო-მად შეგაგროვე და გროვა-გროვად დავალავე. საოცარმა კოლექ-ციამ პეტრე ისე დაძინტერესა, რომ დავიწყდა დაეკვეხნა, თეთ-რი სოკო ვიპოვეო.

- რას გამოხატავენ ქვის გროვები ძაა?
- ატომებს და მოლებულებს.
- საინტერესოა! სხვადასხვა ზომის გროვებია, ერთში მეტია წითელი კენჭები, მეორეში ნაკლები!
- საგანგებოდ დავალავე. დააკვირდი ყველაზე პატარა გრო-

ფიველი ნივთიერება ატომებისაგან შედგება. ერთი შესედვით, თითქოს შეუძლებელია ბუნებაში მრავალფეროვნება.

მაგრამ საქმე სწორედ სხვაგვარადაა. მოვაფენოთ თუნდაც ახეთი შე-გალითო. ერთი და ოგვაც ელემენტი, როგორიცაა ნახშირბადი, სამი სახის გვევდება: როგორც ყველაზე მგარი ქვა — ალმასი (ალმასით ბურღავენ მიწას და ჭრიან მინას), როგორც ნახშირი (ხაუკეთუხო სახითბი) და რო-გორც გრაფიტი (ურომლისიდაც ვერ დაამზადებ ფანჯარს). სამივე სრუ-ლად განსხვავებული ნივთიერება, ნახშირბადის ერთიდავივე, ოდნავ სხვადასხვანარად განლაგებული ატომებისაგან შედგება. ამ ნივთიერებე-ბიდან ყველაზე მკვრივ ნივთიერებაში, ალმასში, ატომები ერთმანეთიან შეიძლოდ არიან განლაგებულნი, ნახშირში შედარებით უფრო თავისუფ-ლად, ხოლო გრაფიტში კა სულ ხალვათიდ კრძნობენ თაქ. სწორედ ამა-ტომ გრაფიტი ალმასზე უფრო რბილია.



გას. აქ ორი წითელი და ერთი თეთრი კენჭია. ასე გამოვხატე წყლის მოლებულა.

— წყლის?!

— დიახ. ორი წითელი კენჭი ერთი ელემენტის — წყალბადის ორი ატომია. თეთრი კენჭი — მეორე ელემენტის, უანგბადის ატო-მია. ხოლო სამივე კენჭი ანუ ატომი — წყლის ერთ მოლებულას შეადგენს. აბა, თუ მეტყვი რისგან შედგება, წყლის მოლებულა?

— წყალბადის ორი და უანგბადის ერთი ატომისაგან.

— სწორია. კენჭების ყველაზე დიდი გროვა კი კარაქის მო-ლებულა.

— კი, მაგრამ აქიც წითელი და თეთრი კენჭებია.


## კარაქის მოლებულა

H O H

წყალბადი უანგბადი წყალბადი



წყლის მოლებულა



ეს უბრალო კენჭები როდია. პატარა (მარცხნივ) და დიდი (მარჯვნივ) — კენჭების გრო-ვა გამოხატავს ორ სხვადასხვა: წყლის და კარაქის მოლებულას. კარგად ჩანს, რომ ორივე მოლებულა ერთმანეთისგან განსხვავდება. სწორედ ესაა ბუნების მრავალფეროვნების მაზუში.

ნახატზე ყველი კენჭი აღნიშნავს ატომს. შემდეგში გაიგებ, რომ ატომიც არ არის მარ-ტივად ავებული. ავიღოთ მახშირბადის ატომი: მასში ექვსი ელექტრონი, ექვსი ნეიტრონი და ექვსი პროტონია. ეს უმცირესი ნაწილები ყოველთვის მოძრაობენ. ბუნების მიერ ერთხელ და ხამუდამოდ დადგენილი მიმართულებით.

— აბა, თუ მისვდი, რატომ?

— ალბათ, კარაქის მოლეკულაშიც შედიან... რა ჰქვია?... წყალბადისა და უანგბადის ატომები.

— ყოჩაღ! მაგრამ რამდენია აქ წითელი და რამდენია თეთრი კენჭი? იძღენივე, რამდენიც წყლის მოლეკულაში?

— ჟეტრემ დახუდა თუ არა, მისვდა, ამ გროვაში შეტი კენჭი იყო, შემდეგ ზუსტად დათვალი და თქვა:

— 75 კენჭია — წყალბადის ატომი, ოთხი ატომი კი უანგბადისა.

— მაშ, აქ მეტი კენჭია, ვიდრე იმ გროვაში, ჩვენ წყლის მოლეკულა რომ ვამოვხატეთ.

— მართლაც მეტია. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია, აქ პევრი შავი კენჭიც ჩანს — შენიშნა ჟეტრემ.

— ესენი კიდევ ერთი ელემენტის — ნახშირბადის ატომებია. კარაქის ყოველ მოლეკულაში, წყალბადისა და უანგბადის გარდა, ნახშირბადის ორმოცი ატომია. მაშ, რისგან შედგება კარაქი?

— წყალბადის, უანგბადისა და ნახშირბადისაგან.

— სავხებით მართალი ხარ! წყალბადი, უანგბადი და ნახშირბადი — 92 ელემენტის რიცხვში შედის, ყველა ერთად კი ბუნების ანბანს შეადგენს. თუ მისვდი, რით განსხვავდება წყლის მოლეკულა კარაქის მოლეკულისაგან? წყალში მხოლოდ წყალბადი და უანგბადია, კარაქში კი, ამათ გარდა, ნახშირბადიცაა. წყლის მოლეკულაში მხოლოდ ხამი ატომია, კარაქისამი კი ას ცხრამეტი. აი, ხწორედ ამის გამო არ ჰგავს წყალი კარაქს. არც გარეგნულად და არც თვისებებით. ასე რომ, ატომთა სხვადასხვა რაოდენობის გამო მოლეკულაში იცვლება ნივთიერების გარეგნული სახეც და მისი თვისებებიც. ამგარად, ბუნების ანბანის სამი ერთნაირი ასოსგან — წყალბადის, უანგბადისა და ნახშირბადის ელემენტებისგან — შედგა ორი სრულიად განსხვავებული ნივთიერება: წყალი და კარაქი.

— სხვა ნივთიერებებშიც თუ არის წყალბადი, უანგბადი და ნახშირბადი?

— ძალიან ბევრში. ესენი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. წყალბადი სხვა ელემენტებს მაინცდამაინც ვერ ეთვისება, იგი პაერზე უფრო მსუბუქი გაზია. ძველად, აეროსტატებსა და საჟაერო ბუშტებს ამ გაზით ბერავდნენ. მაგრამ წყალბადი ძალზე საშიშია. იგი ადვილად აალებადია. ამიტომაც ამჟამად აეროსტატებში უფრო საიმედო გაზს იყენებენ.

უანგბადიც გაზია — პაერის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. პაერში უანგბადი რომ არ იყოს, დედამიწაზე სიცოცხლე შეწყდებოდა. ადამიანები და ცხოველები, აბა, რას ჩაისუნთქავდნენ? ამიტომაც ალპინისტებს, მაღალი მწვერვალის დაყრობისას, მფრინავებს მაღლა ფრენისას, თან მიაქვთ უანგბადის ნიღბები. დიდ სიმაღლეზე უანგბადი ნაკლებია, უანგბადიანი ნიღბებით კი ადამიანები ცაში უშიშრად დაფრინავენ.

ახლა გიამბობ ნახშირბადზე. სუფთა ნახშირბადი ნახშირის მსგავსი მყარი ნივთიერებაა. იგი მართლაც ნახშირის შემადგენელი ნაწილია. ამიტომაც დაარქვეს ნახშირბადი.

უკვე იცნობ სამ ელემენტს: წყალბადს, უანგბადს და ნახშირბადს. მათ ერთმანეთთან დაკავშირების უნარი გააჩნიათ, მაგალითად, ორი ელემენტის — წყალბადის და უანგბადის შეერთება. გვაძლევს წყალს. წყალი ნაერთია. ორი გაზის შეერთებამ მოგვცა სიოთხე. საოცარია, არა?

— რა მოხდება, წყალში ნახშირის პატარა ნატეხი რომ ჩავაგდოთ? — დაფიქრებულად წარმოთქვა ჟეტრემ — ალბათ კარაქს მივიღებთ? ეს ხომ სულ ადვილია?

— არა, არც ასე ძველია, როგორც გვონია. ხაერთოდ სამი ელემენტის — ორი გაზის და ერთი მყარის შეერთება, გვაძლევს ახალ ნივთიერებას — თუნდაც კარაქს.

— მაშ, დღეს საუზმეზე ჩვენ შევჭამეთ ფუნთუშა, რომელსაც დავაცხეთ წყალბადის, უანგბადისა და ნახშირბადის ატომები?

— ხწორედ ასეა. თუ არ ვცდები, რამდენიმე ატომის ბუტირბოდი კიდევ დაგვრჩა, არა? ხომ არ გვეჭამა?

ჟეტრეს უარი არ უთქვამს.

## პსეაზლობით მოლექულების

პეტრეს ავუხსენი, დანარჩენი კენჭების გროვა სხვა ნივთიერებების მოლექულებია-მეთქი.

— შენ უკვე იცი, რა მოლექულები გვაძლევენ წყლის ნაფრთხ. წყლის მოლექულების დანახვა რომ შეგეძლოს, დარწმუნდებოდი, ყოველი მათგანი სამი ატომისაგან რომ შედგება; წყალბადის ორი და უანგბადის ერთი ატომისაგან. წყლის გარდა, ქვეყნად უამრავი ნივთიერებაა შეერთების გზით მიღებული. ამ შეერთებაში ისევ და ისევ ოთხმოცდათორმეტი ელემენტიდან რომელიმე ერთ-ერთი მონაწილეობს. ამ ელემენტებს ჩვენ „ბუნების ანბანი“ დავარქვით. სხვათა შორის ადამიანის სხეულშიც — სისხლში, ქსოვილში, ძვალში — ცოტა ელემენტი როდი შედის ამ „ანბანიდან“.

— ნუთუ მეც სხვადასხვა ელემენტისაგან შევდგები?  
— რასაკვირველია, მენც.

— წყალბადსა და უანგბადზე თანახმა ვარ, თუ მართლა არის ჩემში. რკინა კი ნამდვილად ვიცი, არ იქნება:

— ცდები, შენს სხეულში ერთი და ორი კი არა, ათობით ელემენტია, მათ შორის რკინაც. რკინა რომ არ იყოს ჩვენს სხეულში, ვერც ვიცოცხლებდით. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ყოველთვის მივაწოდოთ ამ ელემენტების მარაგი ორგანიზმს, ჯანმრთელობისთვის ეს აუცილებელია. კარაქში ბევრი ელემენტია, სხვა ელემენტებს, მაგალითად, რკინას ვლებულობთ ბოსტნეულისგან, ხილისგან. ახე რომ, არ გირჩევ საჭმლის გამორჩევას, არ შეიძლება დააკლო თრგანიზმს ან კარაქი, ან ბოსტნეული, ან სხვა რამ. შენი ჭირვეულობით შეიძლება თრგანიზმს დააკლდეს ფრიად საჭირო ელემენტი და დააგადდები.

— ამიერიდან ყველაფერს შევჭამ, ვაშლსაც, მსხალსაც, შოკოლადს, მარმელადს და კანფეტებსაც. რატომდაც მგონია, რომ ყოველ მათგანში ის ოთხმოცდათორმეტი ელემენტია, — სიცილით

ოქვა პეტრემ — იქნებ ითხმოცდაცამეტი. ან ასიც... შეუძლია ადამიანს ხელოვნურად შექმნას რომელიმე ელემენტია?

— ელემენტის ხელოვნურად შექმნა აღბათ ძალიან ძნელია... მაგრამ მათი შეერთება შესაძლებელია. შენ თვითონ ყოველ წუთი ქმნი ახალ ელემენტს.

— როგორ?

— სუნთქვისას ჩაისუნთქავ ჰაერს, რომელიც შეიცავს უანგბადს, იგი გაივლის ფილტვებში, ხოლო როცა ამოისუნთქავ, უანგბადი კი არ ამოდის ფილტვებიდან, არამედ ახალი ნივთიერება. უანგბადი შეუერთდა ნახშირბადს და წარმოიშვა ნახშირორუანგი, ის შენმა ორგანიზმა შექმნა. ამ ახალ გაზს სრულიად განსხვავებული თვისებები აქვს. ამასთანავე საშიშიცაა.

— რატომაა საშიში?

— მხუთავი გაზია. მისი ჩასუნთქვა არ შეიძლება. ვინმებ სკივრში რომ ჩაგკეტოს, სადაც სუფთა პაერი ვერ შეაღწევს, ძალიან მაღე იგრძნობ ამ გაზის მავნებლობას. მართალია, ჯერ თავისუფლად ისუნთქავ, მაგრამ თანდათან უანგბადი გამოგელევა და სუნთქვაც გაგიძნელდება. როდესაც სკივრში სულ გამოილევა უანგბადი და დარჩება მხოლოდ ნახშირორუანგი, დაიხრჩობი. ავიღოთ სხვა მაგალითი, წყლის მიღება ხელოვნურადაც შეიძლება...

საუბარი მოულოდნელად ჭექა-ჭეხილმა შემაწყვეტინა, თუმცა ჩვენს თავზე ღრუბლის პატარა ნაფლეთიც არ ჩანდა. გადავ-წყვიტეთ, საჩქაროდ გავდგომოდით გზას შინისაკენ, მით უფრო, რომ ქილა სავსე გვერდიდა მოცვით, ხოლო პეტრეს მამისეულ ჩანთა — სოკოთი.

გაგუდექით გზას. ვხედავ ახლადმოჭრილი ფიჭვის ტოტები მიწაზე ყრია, აგვრიფე და თან წამოვიდე. ვიფიქრე, შინ მივალ თუ არა, წყალში ჩავდებ-მეთქი.

ორი ნაბიჯი არ გადაგვედგა, საშინელი ყვირილი მოგვესმა. მოვისედეთ: გაბრაზებული მეტყევე ხელების ქნევით მოგვდევდა. შეჩერდნენ, დაჩვენს გარდა ბილიკს უამრავი ხალხი მიჰყვებოდა. შეჩერდნენ, და-




## რომორ დავშალოთ ფასალი ჰემალგენალ ნაფილებად. ფასალიადაღ და უანგაადაღ

ამ ცდის ჩატარება შინაც შეიძლება. ძევლი ბატარეადან უნდა ამოიღო ორი კრიფელის ღერო (იხარი) და თითოეული მათგანის ბოლოს შეუერთო პატარა ისტოლინებული მაფოული, კრიფელები წყლით საესე ფართო პირიან ქილაში ჩადე. აავსე წყლით ორი ბოლო, ხელის გულით დაუცე ბოლოებს ფართო თავებით, გაღმომატენენ და ჩადე ქილაში. შემდეგ წყალს დუშატე ცოტაოდენი ძმარი. მავთულის გამიშველებული ბოლოები შეუერთ ჯიბის ფარის იხალი ზატარეის თრ გარეთ გამოშვერილ ფირფიტას. ბოლოებში წყლის დონე მაშინვე დაიწევს. რომ გაარკვიო, რომელმა გაზმა დაიჭირა წყლის ადგილი ბოლოებში, ცდის დამოავრების შემდეგ ბოლოების ყელოთ ანთებული ახანთი მაიტანე, ერთ ბოლოს ყელოთ გაჩნდება თვალისმამურელი აღი. ეს იმას ამტკიცებს, რომ ამ ბოლოში უანგბადია, რომელიც ხელს უწყობს წეს. შეორე ბოლოთან კა სიფრთხილეა საჭირო. აქ საშიში გაზია, — წყალბადი, პატი რომ შეუერთდება, ფეთქებად ნივთიერებად იქცევა. მეორე ბოლოს კელიან ანთებულ ახანთის თუ მიატანო, მოხდება აფეთქება.

ახლა იხდა რჩება, წყლის დონეს დააკვირდე: ერთ ბოლოში ორჯერ ნაკლებია, ვადრე მეორეში. იმის გამო, რომ იქ ერთ ბოლოში წყალბადის რაოდენობა ორჯერ მეტია, ვადრე მეორეში.

ცდი იმას ამტკიცებს, რომ წყალი შედგება წყალბადის ორი ნაწილის და უანგბადის ერთი ნაწილისაგან.



ინტერესდნენ, რამ ააღელვა მეტყევე... ჩვენც შეგჩერდით. რას ვიციქრებდით, თუ ჩვენ გვიყვიროდა.

— ეს ტოტები სად დაამტკვრიეთ? — დაიბლავლა მეტყევემ.

— აი, ასე ანადგურებენ ბუნებას! — ნიშნის მოგებით გააქნია თავი ერთმა მოსეირნებ.

— ტოტები არ დაგვიმტკვრევია. მოჭრილი ეყარა მიწაზე და აკერიფე-მეთქი — ავუხსენი მეტყევეს. მან გულდასმით შეათვალი-ერა ტოტები, დარწმუნდა ჩვენს სიმართლეში და ბოლიში მოგვი-ხადა. მაგრამ ბოლიში ჩუმად მოგვიხადა, ხოლო შეურაცხყოფა ყველას გასაგონად მოგვაყენა. იფიქრებდნენ, რომ ტოტები ჩვენ დავამტკრიეთ. არც შევმცდარვარ. გზად ვინც კი შეგასვდებოდა, საყველურით სავსე თვალებით გვეუბნებოდა — ბუნების მტრები ხართო. ეს კი ძალიან გვადიზიანებდა, ჩვენ ხომ სრულიად უდანა-შაულონი ვიყავით!

რაც უნდა, ის იფიქრონ, — ვბრაზობდი ჩემთვის, — ტოტებს კი არ გადავყრი. ჯინაზე წავიდებ სახლში, დაგხედავ და გამახსენდება, რა გმირულად გადავიტანე სალხის გამანადგურებელი მშერა.

ცუდი იყო მხელოდ ის, რომ ტოტები უხერხული სატარებე-ლი აღმოჩნდა. სურნელოგანი საკმეველი ხელზე მეწებებოდა, ფიჭ-ვის წიწვები ნემსებივით კისერსა და ყურში მჩხვლეტდა, თვალებ-სა და ცხვირში მიძრებოდა.

საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე კლტა-ვას გემსადგომს მივადექით.

## ზოთხილად, ყველგან ელექტრობაა!

სანაპიროსთან სკამზე ჩამოვსხედით. გემს დაველოდეთ. პეტრე დროს არ კარგავდა; სოკოების ფესვების წმენდას შეუდგა. ნაპონი წიგნი დავათვალიერე და უცებ გამახსენდა... ატომებსა და მოლეკულებზე კი მოგუყენო ჩემს დისტვილს, მაგრამ დამავიწყდა ყველაზე მთავარი...

მთავარი კი წიგნმა გამახსენა, გადავათვალიერე წიგნი. იგი როთულად იყო დაწერილი და პეტრე კერაფერს გაიგებდა. არ მასვენებდა ფიქრი, თუ როგორ გადმომეცა წიგნის დედაზრი ბავშვისათვის მარტივად.

— ფრთხილად, პეტრე, — ვთქვი უცებ, — შენი სოკოები და დანა დაელექტროებულია!


— მეხუმრები?

— არ გეხუმრები, სიმართლეს გეუბნები. ყველა ნივთი ქვეყანაზე, რომელიც გნებავს, დაელექტროებულია!

— ალბათ, ხეც, — ირონიულად ჩაიცინა პეტრემ.

— წარმოიღინე, რომ ხეც.

— რას ამბობ, ხე ხომ დენს არ ატარებს?..



ერთგვარი ელექტრობით დამუხტული ჟროტულები (+ + ან — —) განასიღებან. სხვადასხვაგარი ელექტრობით დამუხტულნი კი მაინიღებან. ეს უძრავო მიანციპი განსაზღვრავს ატომის მთელ ჟენიგას. ატომის ბირთვში პროტონები ელექტრობით (+) ელექტრობითაა დამუხტული, ნეიტრონები საერთოდ დაუმუხტავია, ხოლო ბირთვის ირგვლივ მფრინავი ელექტრონები კი უარყოფით (-) მუხტის ატარებენ.



ატომი დაიშლებოდა, ელექტრონებს შირთვი რომ არ იზიდავდეს, ხოლო პროტონებს ნეიტრონები რომ არ იჭერდენ.

— მართალი სარ, მაგრამ რაც გითხარი, ისიც სწორია. მოდი, კარგად გავერკვეთ... ელემენტები შედგება მოლეკულებისაგან, ხოლო მოლეკულები ატომებისაგან. დამავიწყდა მეთქვა, რომ ატომი ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი როდია. არის მასზე პატარა ნაწილაკიც. ატომი მფრინავი ელექტრული ნაწილაკების გუნდისაგან შედგება. მოლეკულა ხომ პატარაა, მას თვალით ვერ დაინახავ, ატომი კი მასზე უფრო პატარაა, ხოლო ნამცეცა ატომის შიგნით მცირეზე მცირე ელექტრული ნაწილაკებია. დახედე ამ ბალახს, სედავ, ჯერაც შეუშრობ წვიმის წვეთებს? იცი თუ არა, რომ წვიმის წვეთში გაცილებით მეტი ელექტრული ნაწილაკია, ვიდრე ზღვის, ოკეანის, მდინარისა და ტბის წყლის წვეთშია.

— ვერაფერი გავიგე... ამ ნაწილაკებს ელექტრულს რომ უწოდებ, მათში დენი გადის?

— არაფერიც არ გადის. ისინი თვითონ არიან დამუხტულნი დადებითი და უარყოფითი ელექტრობით. იცი, როგორ იქცევიან უარყოფითი და დადებითი მუხტები შეხვედრისას?

— როგორ არა. სკოლაში ვისწავლე. მიიზიდებიან, თითქოს რაღაცა უბიძგებთ, რომ ერთმანეთს ჩაეკრან. ხოლო დადებითი მუხტი თუ შეხვდა დადებითს, ან უარყოფითი უარყოფითს, ერთმანეთს განიზიდავენ.



— ეს მასწავლებელმა გიამბოთ აღბათ მაშინ, როდესაც გიხსნიდთ ელექტროდენს, რომელიც ელექტრონათურას ანათებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ელექტრულ ნაწილაკებზეც, რისგანაც ატომი შედგება. ვინმეს მანქანის ან დანადგარის მოწყობილობა რომ აუხსნა, აუცილებლად ნახაზს მოიშველიებ. შენთვის გასაგები რომ გახდეს ატომის აგებულება, როგორაა იგი შედგენილი ელექტრული ნაწილაკებისაგან, უკეთესია დაგიხატო.

უბის წიგნაკი ამოვიდე.

— აი, აქ ატომის შუაგულში მოთავსებულია ატომის ბირთვი. იგი შედგება დადებითად დამუხტული ელექტრული ნაწილაკებისაგან. ამ ნაწილაკებს ჰქვია პროტონები. მოდი, პროტონები წრეუბით აღვნიშნოთ და შუაში ჯვარი ანუ პლუსი ნიშანი ჩავწეროთ, რაც იმას ნიშავს, რომ პროტონები დადებითადაა დამუხტული. პროტონები ერთმანეთთან ძალიან ახლოს, თითქმის მიჯრით არიან განლაგებული.

— ძია, ყველა წრეში რად არ ჩაწერე პლუსი, რატომ დატოვე ზოგიერთი ცბრიელი?

— იმიტომ, რომ პროტონების გარდა ატომის გულში სხვა ნაწილაკებიცაა. ისინი დამუხტულნი არ არიან. ამ ნაწილაკებს ნეიტრონები ჰქვია.

— ახლა აღბათ დახატავ ნაწილაკებს უარყოფითი ელექტრობით ხომ?

— სწორედ ასე მოვიქცევი. ამ ნაწილაკების სახელია ელექტრონები. მათ (—) მინუს ნიშნით აღვნიშნავთ. თუ შეამჩნიე ბურთულები — ელექტრონები ატომის გულში კი არ ჩავხატე, არამედ ბირთვის გარეთ. იმიტომ, რომ ელექტრონები მართლაც ბირთვის გარეთ არიან და უდიდესი სიჩქარით მოძრაობენ ატომის ბირთვის ირგვლივ.

— თუ ასეა, რატომ არ ამოფრინდება ელექტრონი ატომიდან?

— სამართლიანი შეკითხვაა... დამაცადე, შევეცდები, გასაგებად აგიხსნა.

## რატომ არ იშლება ატომი?

— უკვე იცი, რომ ატომი ბირთვია. იგი შედგება დადებითად დამუხტული პროტონებისაგან და დაუმუხტავი ნეიტრონებისაგან. ბირთვის გარშემო დაფრინავენ უარყოფითად დამუხტული ელექტრონები, შენ ეს ყველაფერი იცი. ახლა შეგიძლია შემეკითხო: რატომ მო გაიფანტებიან სხვადასხვა მხარეს ბირთვის პროტონები, ისინი ხომ ერთნაირად არიან დამუხტულნი, ხოლო ისეთ შემთხვევაში უნდა განიზიდონ ერთმანეთისაგან. პროტონები კი შეადგენენ ერთ ძლიერ ერთეულს, რატომ? — ყველაფერი დამოკიდებულია მიზიდულობის განსაკუთრებულ ძალებზე, ბირთვულ ძალებზე, რომლებიც პროტონებს და ნეიტრონებს ერთმანეთთან აკავშირებს.

— ახლა მე თვითონ მივსვდები, რატომ არ გაიფანტებიან ბირთვის გარშემო მოძრავი ულექტრონები.

— აბა, თუ მეტყვი?

— იმიტომ რომ ელექტრონებს ბირთვი მიზიდავს.

— ყოჩაღ, რომ შენით მიხვდი, არსებითად ასეა. ახლა, მგონა გასაგებია შენთვის ნეიტრონების მნიშვნელობა. ისინი რომ არა, ბირთვი დაიშლებოდა, ელექტრონებსაც ვინ დააკავებდა. ატომი მთლიანად დაიშლებოდა. დაიშლებოდა მოლეკულაც და მასთან ერთად ყველა ნივთიერება.


— რამდენია ყველ ატომში ნეიტრონი, პროტონი და ელექტრონი?

— როგორ გითხრა, სხვადასხვა ატომში სხვადასხვა რაოდენობითაა. ზოგიერთი ატომის აგებულება ძალზე მარტივია, ზოგის კი შეტად რთული. ყველაზე მარტივი აგებულება აქვს წყალბადის ატომს. მის ბირთვში ერთადერთი პროტონია, რომლის ირგვლივ ერთი ელექტრონი მოძრაობს.

— ნეიტრონები სრულებით არა აქვს?

— არა. წყალბადის ატომში იგი ზედმეტია. წყალბადის ატო-

92 მლექტონი  
92 აროტონი  
146 ნაიტონი



U

ურანის ატომი

მენდელეევის კლასიკურობა პერიოდული სისტემის ტაბულაში პირველი ძიგილი უკავია წყალბადს. ამ უფრო ძირის ატომი კვლეული აკებულებისაა: იგი შედგება ერთი პროტონის და ერთი ელექტრონისაგან. ტაბულის ბოლოს კა დგას კლემენტი ურანი. მას ატომი სალვადო აკებულებისაა. იგი მიკროსკოპულ სამყაროს მოგვაგონებს.

მის ბირთვი ერთი პროტონისაგან შედგება, ერთი პროტონი კი სხვადასხვა მხარეს ვერ გაფრინდება. ელექტრონიც ვერსად წავა. ელექტრონი და პროტონი თითქოს ორი ტყვეა, ერთი ჯაჭვით გადაბმული, ერთმანეთს ვერ მოსცილდებიან. ამ მიჯაჭვის წყალბით ატომი არ იშლება და მთლიანობას ინარჩუნებს.

ამ პრძნულ აზრებს სულ ნახატებით ვუხსნიდი პეტრეს, უკეთ რომ გაეგო.

— მიაშე რამე უფრო მდიდარ ატომზე, ვიდრე წყალბადის ატომია, რომელშიაც ერთი პროტონია და ერთი... რა პქვია...

— ელექტრონია, პეტრე, ელექტრონი! დროა დაიმახსოვრო. ახლა კი ყველაზე მდიდარ ატომზე — ლითონ ურანის ატომებზე გიამბობ. ურანის ატომის ბირთვში ოთხმოცდათორმეტი პროტონია, ას ორმოცდაექვსი ნეიტრონი, ხოლო ბირთვის გარშემო ოთხმოცდათორმეტი ელექტრონი მოძრაობს.

— ელექტრონების ასეთ დიდ ესკადრილიას რა ადგილი ჰყოფნის საფრენად?

— ო, ადგილი მეტიც აქვთ, ვიდრე სჭირდებათ. ჩვენთვის ატომი სიდიდით უმნიშვნელოა, ძალზე პატარაა, მაგრამ მიღლიონ-ჯერ უფრო პატარა ელექტრონებს და ბირთვს ატომი დიდად ეჩი-გენებათ. მათვის ატომის გულში იმდენი სივრცეა, რამდენიც თვითმფრინავისთვის ცაში. ზოგჯერ ატომს მზის სისტემას ადარებენ. სწორი შედარებაა. წარმოიდგინე ჩვენი მზის სისტემა, და-პატარავებული ატომის სიდიდემდე, მაშინ მზე ატომის ბირთვი იქნებოდა, ხოლო ცოოມილები — ელექტრონები, ბირთვის — მზის გარშემო რომ დაფრინავენ.

## რა მოხდა გემზე

გემზე ცოტა ხალხი იყო. დამსვენებლებს შინ დაბრუნება ხა-  
დამო უამს ერჩიათ. პეტრე ტვირთის და დახაჯდომი ადგილების  
დარაჯად დაკტოვე, მე კი ბილეთების შესაძენად ხალაროსკენ გა-  
ვემართე. როცა დავბრუნდი, პეტრე ადგილზე აღარ დამიხვდა.  
აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ვერსად ვიპოვე. გემი ხრული ხვლით პრა-  
ღისაკენ მიდიოდა.

შემოვიარე მთელი გემბანი — პეტრე არსად ჩანდა. ჩავედი  
ქვევით, კაიუტაში, პირველად ვერც იქ ვიპოვე. შემდეგ საგულდა-  
გულოდ დავათვალიერე ყოველი კუნჭული და ერთ ბნელ კუთხეში  
სკამზე მოკუნტული დავინახე. შევშინდი.

— რა მოგივიდა პეტრე? რატომ იმალები?

— არაფერი, ისე.

პეტრე ცდილობდა, გულგრილად ეპასუხა, მაგრამ აღელვება  
ეტყობოდა.

— ავად ხომ არა ხარ? — ხელი შუბლზე დავადე, ხიცხე არ  
ჰქონდა. „იქნებ დახიცხა... ან მუცელი სტკივა“ — გავიფიქრე. პეტ-  
რე მარწმუნებდა: ჯანსაღად ვარო. კარგად ვაცნობდი პეტრეს,  
არაფერი რომ არ აწუხებდეს, ასე მორჩილად დაგიჯდებათ სკამ-  
ზე? თავს ფანჯარაში არ გაყოფს?

პეტრეს გვერდით მიუჯექი, ჩავფიქრდი, რა უნდა მომხდა-  
რიყო?... მგონი გამოვიცანი.

— პეტრე, — ძალიან ჩუმად შევეკითხე — ხოკოები და მოცვი  
რა უყავი?

პეტრე მოუსვენრად ატოკდა.


— მიპასუხე!

— ზევით დაკტოვე.

— ხად ზევით? — ვერ გავიგე.

— იქ დაკტოვე.


— როგორ თუ დატოვე!



ბირთვებს შორის ელექტრონების თავისუფალი გა-  
დადგილება დითონების ატომთა თავისებურებაა. ტე-  
მი ხეებს შორის მონავარდე ციცინათველების გუნდს,  
პატარა ნიავიც კი განტუ მიაგდებს. იგივე ემართებათ  
ელექტრონებს ლითონებში, ელექტრონები განუსვატ-  
ლივ ტრადიტების. მაგრამ ას, მმრუცელ ელექტრონებს  
თიაუქს ნიავები დაუტერი და შორის გამოტაც. ნავის  
როლს აქ ასრულებს ელექტროდენი, რომელსაც ლი-  
თონიში ატარებენ როდებაც ელექტროდენის ახოებ,  
ბატარეა ამოძრავებს ელექტრონებს ას შეფულშა,  
ნათურას რომ უფროდებია და ნათურის ბეჭედიც.

ელექტრული დენი ხეცა არაფერია, თუ არა ელ-  
ექტრონების ნაკადის მოძრაობა. ელექტრული დენი  
მეგვაძლია, წარმოვადგინოთ როგორც წყლის ნაკადი,  
ქვებით ხავს ცალინდრულ ჭურჭელში რომ მიედინება.  
წყალია მშრალი ჭურჭელში — წყლის ნაკადი, წყალი თნაბინადს ქვებს შორის  
გამოყალიბდა. წარმოვადგინა წყლის ნაკადი, ელექტრული დენის  
მხატვები, მაგიულებები რომ გადის. რაბაკარგავია, ელექტრონები  
ჩაცრდებათ უფრო ხწარად შიძრაობენ, ვარენ წერდ.

როდებაც ელექტრონების ნაკადი წყეულებრივ მაჟოულში მი-  
დინება, ამას გვარენ ამზება, მაგთული ხომ ელექტრონებისა-  
თვის ფარით გზატკეციდა. მაგრამ ეს ნაკადი მიაღწევს თუ არა  
ელექტრონიათვრას წვრილ ბეჭებს, ელექტრონებს მოძრაობა უჭირთ.  
ამ ვაწრო ბალაზე ელექტრონება გაჭირვადია, მაღალ მაინველ-  
ებინ გზას. ამის გამო ბეჭები გავარეარდება და გამოსცემს კაშა-  
შა მუშა.



— პეპიკი ვოკოუნუ დარაჯობს.  
 — პეპიკი ვოკოუნუ ვინდაა?  
 — ჩემი ამხანაგია.  
 — კეთილი... მაგრამ ქილა და ჩანთა რატომ აქ არ მოიტანე?  
 — სულ ერთი არ არის, ხად იქნება?  
 — რატომაა სულ ერთი? სრულებითაც არა. შენს პეპიკს რომ  
 დავიწყდეს? — ავიდეთ ზევით!  
 — არ წავალ, აქ ვიქნები.  
 — არ მომწონს შენი საქციელი, გამოტყდი, წაიჩსუბეთ? —  
 უცებ კაიუტაში ბიჭუნა შემოვარდა და პირდაპირ პეტრესაკენ გა-  
 ემართა.  
 — პეტრე, წამო ზევით! იცი, რა ამბავია! თუმცა... აქედანაც  
 კარგად ჩანს.  
 ბიჭუნა სკამზე შეხტა და გაიხედა ფანჯარაში, რომელიც გე-  
 მის ბორბლის თავზე იყო მოთავსებული.  
 პეტრემ წარბები შეგრა, თითქოს კბილი ასტკივდაო, თავს  
 აქეთ-იქით აქნევდა; საგონებელში ჩავვარდი. სადღაც რაღაც ხდე-  
 ბა და ჩემი დისტვილისათვის სულ ერთია? — ვერ ამესხნა, რა მო-  
 უვიდა.  
 — პეპიკი ვოკოუნუ ხარ? — შევეკითხე ბიჭუნას — ჩვენს ნივ-  
 თებს ყური კარგად უგდე. ქილაში მოცვია, ჩანთაში კი ნამდვილი  
 ოეთრი სოკოებია.  
 — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — მიპასუხა ბიჭუნამ —  
 თქვენს ნივთებს დედახემი დარაჯობს.  
 ჩანს, პეტრემ მართალი მითხრა.  
 — ვერაფერი დაინახე? — არ ასვენებდა პეპიკი პეტრეს.  
 — ვერაფერი — პირქუშად უბასუხა პეტრემ — თავი დამანებე,  
 ისა სჯობს მითხრა, რა სახელმძღვანელოები წავიდო პირველ სექ-  
 ტემბერს სკოლაში.  
 დაუჯერებელია, ქალაქგარეთ სეირნობისას პეტრე სკოლით  
 დაინტერესდა.

— რა დროს სკოლაა, — არ ცხრებოდა პეპიკი. — გემბანზე  
 თეთრ შარვალსა და დია ფერის სალათში გამოწყობილი პატარა  
 ბიჭუნა დასეირნობდა. ცოტა ხანში შავად დაწინწკლული არ გა-  
 მოგვეცხადა? რა სეირი იყო!  
 პეტრემ ცივად აიჩეჩა მხრები, ღიმილიც კი არ მოერია.  
 — როგორ ბღაოდა, — უხაროდა პეპიკს — როგორც იქნა დაწყ-  
 ნაოდა.  
 — რა მოუვიდა იმ ბიჭუნას? — დავინტერესდი.  
 პეპიკმა სიამოვნებით ამიხსნა:  
 — ხედავთ, ფანჯარასთან კიდევ დარჩა შავი ლაქები, მოცვი-  
 საა. ვიღაცამ მოცვი გადმოყარა გემბანიდან, მოცვი ბორბლებს  
 მოხვდა. ბორბალმა გასრებილი მოცვი ფანჯარას მიანარცხა, ფან-  
 ჯარა მოითხვარა, შავმა წვიმამ ბიჭუნაც შეღება, ერთიანად მო-  
 თხუპნა. რა სანახავი იყო! — სიცილით დავიხოცეთ. წამო პეტრე,  
 შევხედოთ!

პეტრემ უარი სტგიცა.  
 — სულელი ხარ, — განაწყენდა პეპიკი, — რას ზიხარ ამ ჯურ-  
 ღმულში, გემბანზე ყოფნა უფრო საინტერესოა. მე წავედი.  
 თქვა თუ არა წავედიო, პეპიკმა საფეხურები აირბინა.  
 ცნობისმოყვარეობით დავაკვირდი პეტრეს. იგი თავჩაქინ-  
 დრული ჩუმად იჯდა.  
 — მაშ, მოცვს სახლში ვედარ მივიტანო? — შევეცადე საუბა-  
 რი გამება.  
 სიჩუმე ერთ წუთს გაგრძელდა. მას მოჰყვა პეტრეს უსიცოცხ-  
 ლო ხმა:  
 — მივიტანო, მხოლოდ ნახევარს... — შემდეგ კი უფრო ცოცხ-  
 ლად თქვა — დამნაშავე არა ვარ. მართალს გეუბნები, ძია, არა ვარ  
 დამნაშავე! ახლავე აგისხნი, როგორ მოხდა ყველაფერი. ჩვენ გემ-  
 ბანზე ადგილი დავიკავეთ ზუსტად გემის მამოძრავებელი ბორ-  
 ბლის თავზე. ჩანთა სკამის ქვეშ შევაჩოჩე. ქილა არ გამიტყდეს-  
 მეოქი და კალთაში ჩავიდგი. როდესაც გემი დაიძრა, მოაჯირს გა-

დაგაწექი, წყალში ვიყურებოდი, უცებ ვიღაცამ ხელი გამკრა, კინაღამ ქილა წყალში ჩამივარდა, ძლივს დავიჭირე. მოცვი კი გადამიცვივდა. ძალიან ბევრი, თითქმის ნახევარი.

— ზუსტად ბორბალზე არა?

— მაშ! მთელი ეს შავი ფაფა ფანჯარას მიენარცხა, როგორც საფანტი — აფეთქებას პგავდა. მართალს გეუბნები. საუბედუროდ ბიჭუნაც თავით-ფეხებამდე ამოისვარა.

— როგორ ფიქრობ? ხომ არ აჯობებს ბიჭუნას დედას ბოდიში მოვუხადოთ?

— ძალიან გთხოვ, არ მიხვიდე, — შემევედრა პეტრე — არავის დაუნასავს, მოცვი რომ მე გადამიცვივდა, ქილა სკამის ქვეშა პენითან. მოდი, ნუ მოვიხდით ბოდიშს.

— როგორ თუ ნუ მოვიხდით? აუცილებლად მოვიხდით, ოღონდაც მოგვიანებით. დედა ბიჭუნას რომ დაბანს.

საიდუმლოება გამომჟღავნდა თუ არა, პეტრე გამოცოცხლდა. ალაპარაკდა. გემბანზე ასვლას კი ვერ ბედავდა.

გგერდით მივუჯექი. ზევით ასვლაზე დაგიყოლიებ-მეთქი, მან კი მკითხა:

— ძაა, ასე ნელა რად მივცურავთ?

— მდინარეში წყალი ცოტაა. კაპიტანს ეშინა, სიჩქარეში მეჩეჩს არ დაჯახოს გემი. კაშხალს რომ ააშენებ, ვლტავაში წყალი დაგუბდება, დიდი წყალსაცავი გაჩნდება, მაშინ ცურვაც გაადგილდება.

— ალბათ, ძნელია მდინარის კაშხალით გადაღობვა?... ჭკვიანურად იკითხა პეტრემ.

— ახლა ძნელია, მართალია, მაგრამ ოდესმე გაიაღვილებენ ადამიანები შრომას.

— როგორ, რა გზით?

— ატომი დაეხმარება, ოღონდ ჯერ ატომის გახლება უნდა ისწავლონ. შემდეგ კი მისი გამოყენება.

— ვერ გავიგე, რა საჭიროა გახლება? ან რომელი ატომი უნდა გაიხლიჩოს, რა მოუვა საცოდავ, გახლებილ ატომს?

— რამდენი შეკითხვა მომაყარე, ჩემთ კარგო, თანაც კველა ძალიან სერიოზული. სხვათა შორის, ამ შეკითხვებს ცოტა კავშირი როდი აქვს შენთან.

— ჩემთან?


— დიახ, კველა დანარჩენ გოგონებთან და ბიჭუნებთანაც.

## გახლებილი ატომი

— ჯერ აგისსნი, როგორ უნდა გაიხლიჩოს ატომი, შემდეგ კი გიამბობ, რისთვისაა ეს საჭირო. დავიწყებ ერთი ძალიან იშვიათი ელემენტიდან. მისი სახელია რადიუმი. ერთი გრამი რადიუმი რომ მოიპოვონ, რამდენიმე ტონა მადანი უნდა დაისარჯოს. დღემდე, სულ მოპოვებულია მხოლოდ ერთადერთ კილოგრამამდე რადიუმი. მას გასაოცარი თვისება აქვს — თავისითავად იშლება.

— როგორც ქვიშის მთა, რომელიც იფშვნება ცალკეულ პატარებინტელა ქვიშებად?

— არა, სხვაგვარად. რადიუმის ატომები თავისითავად იშლება. თითქოს ატომის ბირთვის პროტონები და ნეიტრონები შეთანხმდნენ და სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტესო, უცებ სხვადასხვა მხარეს გაფრინდებიან. ასე ხდება ძალიან ხშირად. ატომი, რომლის ბირთვიდანაც გაიქცნენ ეს პატარა ნაწილაკები, გაქრება, თითქოს დადნაო. იყო ატომი და აღარ არის ატომი. ასე იხლიჩება რადიუმში ერთიმერის მიყოლებით ატომები. რა თქმა უნდა, რადიუმი პატარავდება. ეს დაშლა ნელა ხდება. რადიუმის ნატეხი ათას ხუთასი წელიწადი რომ იდოს, ამ ხნის განმავლობაში მისი ატომების მხოლოდ ნახევარი გაქრება. ჩვენ ვერც კი შევამჩნევთ მათ გაქრობას. რას ნიშნავს რადიუმის ატომის გაქრობა? — შევე-



ციკლოტრონი

ციკლოტრონი პგავს ატომურ ქვემებს, თუმცა ეს ატომური ქვემები ბევრად განსხვავდება საარტილერიო ქვემებისაგან.

კითხე პეტრეს და თვითონვე ვუპასუხე: — იმას, რომ ატომი არ არის რაღაც მონოლითური, გაუხლეჩავი. ამ მაგალითით ბუნება თითქოს გვეუბნება, რომ ატომის გახლეჩა შეიძლებაო. ადამიანებმა ატომის გამოიყონეს ძლიერ მოხერხებული მანქანა — ციკლოტრონი. ამ მანქანის მეშვეობით ზოგიერთი ელემენტის ატომიდან ატომური ნაწილაკები ამოაგდეს — პირველ რიგში პროტონები და ნეიტრონები. მე უკვე კითხარი, რა სისწრაფით მოძრაობენ ეს ნაწილაკები ატომური ბირთვის შიგნით.

თუ შევქმნით ატომს, რომელიც ბუნებაში ხაერთოდ არ არსებობსო.


ვიდრე ამ კითხვებს უპასუხებდნენ, საჭირო იყო ატომის გახლეჩა... და გახლიჩეს კიდევ.


— როგორ გახლიჩეს?

— ო, ეს ძალიან რთული პროცესია. ამისთვის ადამიანებმა გამოიგონეს ძლიერ მოხერხებული მანქანა — ციკლოტრონი. ამ მანქანის მეშვეობით ზოგიერთი ელემენტის ატომიდან ატომური ნაწილაკები ამოაგდეს — პირველ რიგში პროტონები და ნეიტრონები. მე უკვე კითხარი, რა სისწრაფით მოძრაობენ ეს ნაწილაკები ატომური ბირთვის შიგნით.

ციკლოტრონში კი უფრო სწრაფად მოძრაობენ. მათი სიჩქარე წამში ოცი ათას კილომეტრს აღწევს.

1. პირველი ჭურვი ბირთვს ჩაუვლის.
2. მეორე ჭურვს ავარდეს გადასრის დახაჭუმბარებული ატომის ბირთვის ელექტრული ელი.
3. მესამე ჭურვს არასაკმარისი სიჩქარე ჰქონდა, ასხლტა ბირთვს და არავითარი ზანი არ მიძევნა.
4. მეოთხე ჭურვი მოხვდება ლითუმის ბირთვს, რაღაც წამი შეუერთდება მას და პელიუმის ორ ბირთვად გაისლიჩება. ეს ერთი ელემენტის სრულიად სხვა ელემენტიად გადაქცევის მაგალითია.





## ატომური ავათავა

ქვემეხიდან — ციკლოტრონიდან — გამოშევებული ჭურვი-ნაწილაკი აზიანებს პირველ ატომურ ბირთვს, რის გამოც ბირთვი გაიფანტება. ბირთვის გაფანტული ნაწილაკები თვითონ იქცევიან ჭურვებად და ახლა ისინი აზიანებენ სხვა ატომების ბირთვებს.

ამ პროცესს, რომელიც დადა სიჩქარით მიმდინარეობს, ეწოდება ჯაჭვური გახლება, ანუ ჯაჭვური რეაქცია. რადგან ატომების გახლება ერთმანეთს მიჰყება ჯაჭვივათ. ატომურ აფეთქებაც ჯაჭვური რეაქციის შედეგია. ატომური აფეთქების დროს წარმოიშობა გიგანტური წნევა, ხოლო ტემპერატურა რამდენიმე მილიონ გრადუსამდე ძღწევს. ამას გარდა ატომური აფეთქებისას სიცოცხლისათვის საშიში რადიაქტიური სხივები გამოიყოფა.

— აი, მესმის სიჩქარე!

— მართლაც დიდი სიჩქარეა.

— მსოლოდ ვერ გავიგე ამ ნაწილაკებს ასე სწრაფად რატომ ამოძრავებენ?

— იმიტომ რომ, ეს ნაწილაკები ესროლონ იმ ნივთიერებას, რომლის ატომებიცაა გასახლები. ციკლოტრონი ჰგავს ქვემეს, ყუმბარებს ატომებს რომ ესვრის. არტილერისტები ამბობენ, რაც მეტია ჭურვი, მით უფრო ადვილად დაზიანებ სამიზნებო. აქ კი, სადაც სამიზნეც პაწაწკინტელად და ჭურვიც, აურაცხელი ყუმბარია საჭირო. გამოსროლილი ნაწილაკების — ყუმბარების მეტი წილი ხომ სივრცეში გაიფანტება; გზად არაფერი შეხვდება. მსოლოდ ზოგიერთს გაუღიმებს ბედი და მოხვდება მიზანში — ატომის ბირთვში.

— ვთქვათ, გავისროლეთ ჭურვი და მოხვდა ბირთვში. მერე რა? — შემეგოთხა პეტრე.

— მერე საინტერესო ამბები ხდება. ზოგიერთი ნაწილაკი, ბირთვზე მოხვედრისას, ასხლტება ისე, როგორც ზოგჯერ გასროლილი ტყვია ქვიდან რომ ასხლტება. მაშინ არაფერი მნიშვნელოვანი არ მოხდება. ზოგიერთი ნაწილაკი კი ისეთი სიძლიერით დაეჯახება ბირთვს, რომ გახლებს, ზოგი კი ოდნავ დაშლის; გამოგარდება ბირთვიდან რამდენიმე პროტონი და ნეიტრონი — მეტი ძრაფერი. ზოგი ყველაფერს მილეტ-მოლეტავს, ყველა პროტონი და ნეიტრონი გაიფანტება სხვადასხვა მხარეს.

— შემდეგ რა ხდება?

— სწორედ ამ საკითხზე ფიქრობენ მთელი მსოფლიოს მეცნიერები. თუ ატომს გავხლებთ, ამან ხომ ხალხს სარგებლობა უნდა მოუტანოს. ვთქვათ, ატომის გახლებილი ნაწილები ისევ შეაერთეს და შექმნეს ელემენტი, რომელიც ბუნებაში ცოტაა. ანდა ამ ნატეხებისგან წარმოიშგა სრულიად ახალი, ბუნებაში ჯერ უცნობი ელემენტი. ერთი სიტყვით, უნდა ისწავლონ ატომების გახლების რთული პროცესის მართვა და ამით მიაღწიონ წინასწარ

დასახულ მიზანს. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ. ატომის გახლებისას თავისუფლდება მასში დამაღული უამრავი ენერგია.

— მე არ ვიცი, რა არის ენერგია.

— ენერგია მუშაობის შესრულების უნარია. აი, წყალი... მას შეუძლია შეასრულოს დიდი სამუშაო; ატრიალოს წისქვილის ბორბლები, აამოძრაოს ელექტროსადგურების ტურბინები და სხვა მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთოს. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ წყლის ენერგიაზე. ელექტროდენიც ცოტა სამუშაოს როდი ასრულებს. ამიტომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ელექტროდენის ენერგიაზეც.

— რა ენერგიაა დამაღული ატომში? ალბათ, ატომური. ამიხ-სენი, როგორ წარმოიშობა ეს ენერგია.

— როცა ატომი მოელია და ხელუხლებელი, შიგ ნაწილაკები შევიდად იმყოფებიან. არავითარი ატომური ენერგია არ გამომუშავდება, მაგრამ საკმარისია, ესროლო ატომური ქვემეხიდან გასახლები ჭურვი-ნაწილაკი დასაშლელ ატომს, რომ ბირთვში ალიაქოთი იწყება. ნაწილაკები-ჭურვები გამოაგდებენ ბირთვიდან ნეიტრონებს, რომლებიც ადრე აკავებდნენ ბირთვის პროტონებს და არ აძლევდნენ სხვადასხვა მხარეს გაქცევის საშუალებას. მას შემდეგ, რაც ნეიტრონებმა დატოვეს ბირთვი, პროტონები აქეთ-იქით ეხლებიან, გასახლები ატომიდან ამოხტომისას ეჯახებიან ჯერ კიდევ მთელ შეზობელ ატომებს. ლტოლვილების სიჩქარე კი დიდზე დიდია. თვითონ იქცევიან ჭურვებად და შლიან თავიანთ მეზობლებს. ახლა ეს ატომებიც გაიფანტებიან აქეთ-იქეთ ნაწილაკებად. ერთი ატომი მეორეს ანგრევს, მეორე — მესამეს და ასე შემდევ ჯაჭვურად გრძელდება დამანგრეველი მოქმედება, რაღაც მემილიონედ წამში იხლიჩება მილიარდი ატომი. სწორედ ასეთი გახლების დროს ატომებიდან გამოიყოფა იმდენად დიდი ენერგია, რომ წარმოიშობა არნახული სიძლიერის აფეთქება. ატომური საფანტი რამდენიმე გრამია, ნერგვის ძალა კი ისეთი აქვს, თითქოს ათასი ტონა დინამიტი ააფეთქესო.

60

## მომავლის ტაქირა

— ატომური ენერგია აქა-იქ უკვე ჩააყენეს ხალხის სამსახურში, მაგრამ ყველგან ერთნაირად როდი იყენებენ მას. კაპიტალისტური ქვეყნების ბანაკი, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ცდილობს აიძულოს ატომური ენერგია, ემსახუროს ომს. ამ სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს დაამზადეს ატომური ყუმბარები და ჩამოყარეს იაპონიის ქალაქებში.

ომის მომხრე ქვეყნებს მშვიდობის ბანაკი ეწინააღმდეგება, მის სათავეშია საბჭოთა კავშირი: ატომური უუმბარები საბჭოთა კავშირსაც აქვს ყოველი შემთხვევისათვის, მაგრამ საბჭოთა ადამიანები არ ფიქრობენ ომზე, მათ სურთ, იცხოვრონ მშვიდობიანად მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან ერთად. ატომურ ენერგიას საბჭოთა ადამიანები ჩვეულებრივი ფეთქებადი ნივთიერებების ნაცვლად იყენებენ მშენებლობებზე, სახეს უცვლიან თავიანთ ქვეყანას. საბჭოთა ადამიანები ატომურ ენერგიას დასანგრევად კი არა, ასაშენებლად, ადამიანთა სიცოცხლის დასაღუპავად კი არა, გასალამაზებლად და გასაბედნიერებლად იყენებენ.

— ნუთუ ისეთი ძლიერია ატომური ენერგია, რომ მასზეა დამოკიდებული ადამიანთა ბედნიერებაც და უბედურებაც? — მკითხა პეტრემ.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, ძალიან ძლიერია! აი, ამ პატარა ბურთულაში დამაღულია იმდენი ძალა, გრძელ სატვირთო მატარებელს დედამიწის ირგვლივ რომ შემოატარებს. ხოლო ფანჯრის ჩარჩოს დასაკიდებელ პატაწინა ხრახნში ჩამაღული ძალა დედამიწის გარშემო თვითმფრინავს რამდენიმეჯერ შემოატარებდა. ჭიქა წყალში მიძინებული ენერგია ჩვენს გემს საწვავის გარეშე რამდენიმე ათას კილომეტრზე გააცურებს. რიყის პატარა ქვაში, მდინარის პირას რომ აგდია, იმდენი ენერგიაა, თუ მას ელექტროენერგიად ვაქცევთ, მთელ პრაღას ერთი წლის მანძილზე გაანათებს.

61




ატომური გომების აზეთმება პუნქტულ პიკინთან



ატომური გომები



ატომურპრავიანი რაპეტა



„ოფიცირო ატომურ ენერგიაზე და წარმოიდგინო მხოლოდ ატომური ფუძბარა, იგივეა იფიცირო ელექტროდენზე და წარმოიდგინო მხოლოდ ელექტრული სკამი“. ამერიკელი მეცნიერის ამ მეცნიერის ამ მწარე შენიშვნიდან კარგად ჩანს, როგორ უკურებენ ატომურ ენერგიას იმპერიალისტები. ატომური ენერგია მათვებს ატომური ფუძბარა, ჩვენთვის კი ღამაზი, მათ თილმოწყობილი ქალაქებია, წალკოტად ქცევული უდაბნოები, აყვავებული ქვეყნები, ხალასიანი და ბედნიერი ძაღმიანებით სახსე.


ატომური საუკუნე სიცავილისა და ნგრევის საუკუნედ კი არა, მშეიდობისა და სიცაცხლის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საუკუნედ უნდა გადავაქციოთ. ატომური ენერგიის საუკუნეში ელექტრონის გამომშვავებელი მანქანები მთლიანად შეიცვლება. ატომურ ელექტროსადგურის ორთქლის ქვების აღიალს ატომური ქვები დაჭრეს, მასში ურანის ან სხვა რომელიმე ნივთიერების გახლების შედეგად უდიდეს ძალის ენერგია წარმოშობა.

ახლოა ის დრო, როების გემებს რომ არ დასჭირდებათ შორეულ მოგზაურობაში ათასა ტონა ნახშირის და ნაგოობის წალება. ატომური საწვავის მარაგი, რომელიც თავისუფლად ჩაეტევა ასანთის კოლოფში, ეყოფა გამს დედამიწის გარშემო სამოვჭაუროდ. აი, როგორი არ ნახული მომავალი აქვს ტრინსპორტს.

ატომური ენერგიის გამოყენება ზღაპრულად გააძვილებს ადამიანის შრომას. ახელი ძლიერი მოკაგშირით ადამიანი დედამიწაზე ნამდვილ სამოთხეს შექმნის.

თუ კაპიტალიზმი ორთქლის მანქანისა და ელექტრონის ეპოქა იყო, კომუნიზმი ატომური ენერგიის ეპოქა იქნება.

საბჭოთა კავშირში უკვე მუშაობს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური.



შენთვის ალბათ გაუგებარია, როგორ უნდა აიძულო, მოგემსახუროს ეს მძლავრი, მაგრამ ჯერ მიძინებული ენერგია.

— დიახ, გაუგებარია. — დამეთანხმა პეტრე.

— ყური კარგად დამიგდე და ყველაფერს გაიგებ, თავდაპირველად ადამიანებმა ისწავლეს სითბოს გამოყენება, რომელიც წარმოიშობა ატომის დაშლის და ნგრევის დროს. ნახშირის, ნაფოთბის და სხვა ჩვეულებრივი სათბობის ნაცვლად ადამიანებმა არაჩვეულებრივი საწვავი — ატომური სათბობი გამოიყენეს. საბჭოთა კავშირში, მსოფლიოში პირველად, ატომური სათბობით ამუშავდა ელექტროსადგური. ატომური ენერგიის გამოყენება სხვაგვარადაც შეიძლება. მოვა დრო, როდესაც ადამიანები მისი დახმარებით ახალ ნივთიერებებს შექმნიან. ასეთი ხელოვნური ნივთიერებებისგან ადამიანები ააგებენ სახლებს, ტანსაცმელს შეკერავენ, ააწყობენ სხვადასხვანაირ მანქანებს, მათ შორის ავტომანქანებსაც. ყველაფერი ეს კი ბევრად შეამსუბუქებს და გააადვილებს ადამიანების შრომას. ატომური ენერგია დაგვეხმარება, გავთხაროთ ახალი არხები, ხოლო უწყლო უდაბნები გადავაქციოთ ედემის ბაღად, ატომური აფეთქებები მიწის პირიდან აღგვიან იმ გორაკებსა და მთებსაც კი, ხელს რომ გვიშლიან, ადამიანები გაადნობენ ყინულს ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე. შესანიშნავი ატომური ხომალდებით დედამიწიდან პლანეტებისაკენ გაემგზავრებიან.

— ყველაფერი ეს შენს წიგნშია მოთხოვობილი?

— ეს და ბევრი სხვაც.

— ერთი წამაკითხა!

— ვერაფერს გაიგებ. წიგნი მოზრდილებისთვისაა.

პეტრე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი გამანდო თავისი ყველაზე სანუკერი ოცნება: თურმე მას უნდა გამომგონებელი გახდეს. გამოიგონოს რაიმე მალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო.

— რატომაც არ უნდა გახდე? — ვუპასუხე, — მაგრამ ამისთვის ბევრი უნდა იშრომო. ვინც ოცნებობს გამომგონებლობაზე, მხართებოზე წამოწოლილი ვერ დაელოდება, როდის გახდება ჭკვიანი

და განათლებული, ბეჯითად უნდა იმეცადინოს, შეისწავლოს მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, კარგად უნდა ფლობდეს უცხო ენებს, სხვა ქვეყნებში გამოსული სამეცნიერო წიგნების წაკითხვა რომ შეძლოს.

— მე კარგად ვსწავლობ. ცოტაც და პირველი მოსწავლე ვიქნები კლასში, შემდეგ კი დაუმატა: ძალიან გთხოვ, რაიმე ახალს თუ გაიგებ ატომებზე, მიამბე.

სიამოვნებით დავეთანხმე. გადავწყვიტეთ, მომავალში უფრო ხშირად გვესაუბრა მეცნიერებაზე. ასე წარმოიშვა ტექნიკური წრე, რომელიც ორ წევრს, მე და პეტრეს აერთიანებდა. პეტრემ მითხრა, ამ წრის გარდა, იგი შეეცდება შექმნას სკოლაში კიდევ ერთი, უფრო მრავალრიცხოვანი ტექნიკური წრე, სადაც იმსჯელებენ ყოველივე იმაზე, რასაც პეტრეს ვუამბობ.

— კარგად მოგიფიქრებია, — მოვუწონე განზრასვა — ყველაფერი, რაზედაც დღეს ვსაუბრობდით, მხოლოდ მე და შენ როდი გვეხება, ყველას ეხება, მოზრდილსაც და პატარასაც. შენ და შენი ტოლები რომ გაიზრდებით, თქვენს წინაშე დადგება ამოცანა, ცხოვრება უფრო კარგი და ლამაზი გახდეს. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა მოემზადოთ; სპორტში უნდა ჩაებათ, ჯანმრთელი რომ იყოთ, კარგად უნდა ისწავლოთ, მეტი რომ იცოდეთ. მხოლოდ ძლიერი და ჭკვიანი ადამიანები შეძლებენ ხალხის საკეთილდღეოდ ატომური ენერგიის სწორად გამოყენებას.

საუბარში დრომ სწორად გაირბინა. ჩამოვედით პრაღაში.

პეტრეს გადაავიწყდა, მოცვით ბიჭი რომ დახვარა და გემბანზე თამამად ამოვიდა. ალარსად ჩანდა ქალი და ის მოთხუპნული ბიჭუნა. ალბათ, ნაპირზე ჩავიდნენ. პეტრეს უკვე ის ამბავი ადარ აწუხებდა.

სოკოებით სავსე ჩანთა და მოცვი ქილა ადგილზე დაგვსვდა. ქილა, სამწუხაროდ, გატეხილიყო. იქნებ პეტრეს გაუტყდა, მოაჯირს რომ გადააწვა, ან იქნებ მგზავრებმა უნებლივეთ ფეხი გაპრეს. ასე იყო თუ ისე, ბედუპულმართი მოცვიანი ქილა გემბანზე დავტოვეთ.

## სეირობის სამარცხევინო დასასრული

ტრამვაი გადატვირთული იყო. არ ვიცოდი, სად წამეღო ნაძვის ტოტები, წიწვები მგზავრებს აწუხებდა. ვიფიქრე, ყველაზე მოუსვენარ ტოტს მოხერხებულად დაგიჭრ-მეტე, მაგრამ უგერგილო მოძრაობით კონდუქტორს ხელისგულიდან ხურდები გად-მოვუყარე. საშინელი აურზაური ატყდა. გაბრაზებული კონდუქტორი ამიყვირდა, წესიერად არც ტყეში შეგიძლიათ მოქცევა, მწვანე ნარგავებს ანადგურებთ, და არც ტრამვაიში, ადამიანებს ცხვირ-პირში ურტყამთ ტოტებსო.

შევეცადე, ამესნა, რომ ტოტები არ დაგვიმტვრევია, მიწაზე ეყარა და აგვრიფეთ. მგზავრები გვიღრენდნენ — ტოტები ამის გამო ნაკლებად როდი იჩხვლიტებიანო. დავიღალე, დავიქანცე. მოელი გზა ტოტები თავზევით მეჭირა.

როგორც იქნა, ჩვენი ქუჩაც გამოჩნდა. უცებ არც აცივა, არც აცხელა, პეტრემ მკლავში წამავლო ხელი და წამჩურჩულა:

— ჩვენი ბუნებისმეტყველების მასწავლებელი!

მასწავლებელს კარგად ვიცნობდი. ბუნების დიდი მოყვარული იყო. ხშირად ბაღში შეხვედრისას საყვედურს გამოთქვამდა, ადაშიანები ბუნებას ბარგაროსულად ექცევიანო. ყოველთვის ვეონ-სმებოდი და თანავუგრძნობდი. დღეს კი ალბათ იფიქრა, რომ სხვებზე უკეთესი არც მე ვიყავი. ძალზე შევწუხდი. რა ვქნა? როგორ მოვიცილო თავიდან ეს საზიზღარი „თაიგული“. სწორედ იმ წუთში ერთ სახლს ჩავუარეთ. სარდაფს ფანჯრები ტროტუარს ქვემოთ ჰქონდა. გადავწყვიტე ტოტებს ტროტუარსა და ფანჯრებს შორის ჩავაგდებ-მეტე. გაფიქრება და შესრულება ერთი იყო. ტოტები ღია ფანჯრიდან შუა ოთახში ჩაცვივდა.

გამიხარდა, ასე ოსტატურად რომ ჩავატარე ოსერაცია, მაგრამ ამაოდ. მასწავლებელმა თურმე კარგა ხანია დაგვინახა და თვალს აღევნებდა ჩემს ხრიკებს, ძალიან ნაწყენი ჩანდა.

— წარმოიდგინეთ, — თქვა მან დიდი პაუზის შემდეგ, — ჩამო-

დიან გარეუბნიდან, თან მოაქვთ ახალდატეხილი ნორჩი ტოტები, როგორ არა რცხვენიათ! ამისთვის მკაცრად უნდა დაისაჯონ!

შვებით ამოვისუნთქე. იმ წუთში არავითარი ტოტი არ მეტავა ხელში.

სიტყვა ჩამოვარდა სოკოზე. მასწავლებელი თურმე გადაყოლილი მესოკოე ყოფილა. პეტრე თავის ქებას მოჰყვა — რა კარგი თეთრი სოკოები შევაგროვეთო. გახსნა ჩანთა, ჩაყო ხელი და დაიყვირა, თითქოს რაღაცა შეერჭოო. ჩანთა პირამდე ახალმოტეხილი ფიჭვის ტოტებით იყო დატენილი. მე და პეტრე გაოცებული შევყურებდით ერთმანეთს. ხელი სასწრაფოდ ჩავყავი ჩანთაში, ქვემოდან რაღაც საოცარი სოკოები ამოვათრიე. გამიკვირდა, ასეთი ჩვენ არ შეგვიგროვებია, ეს ჩვენი სოკოები არ იყო. ყურადღებით შევათვალიერე ჩანთა, ჩვენსას არ ჰგავდა. შეცდომით სხვისი ჩანთა წამოგვიღია.

დაიჯერა თუ არა მასწავლებელმა, ჩვენ რომ არაფერში ვიყავით დამნაშავე, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში ცივად დაგვემშვიდობა.

ალბათ, შეგვეკითხებით, სად წავიღეთ სოკოები? გადავყარეთ სანაგვეში ტოტებთან ერთად.

ასე რომ ლაშქრობიდან დაგბრუნდით უსოკოებოდ, უმოცვოდ და უტოტებოდ. გამოირკვა, რომ წიგნი ისეგ დავკარგე, სკამზე თუ დამრჩა გემის კაიუტაში.

სასლში დაგბრუნდი. კოსტიუმს გულმოდგინე გაწმენდა და შეკეობა სჭირდებოდა. სახელო და ჯიბე ჩამოხეული მქონდა. აი, მესმის გასეირნება! დიდხანს დამრჩება მესსიერებაში, მაგრამ, მგონი, პეტრესაც არასოდეს დაავიწყდება. ჩემმა საუბარმა მოლეკულებსა და ატომებზე ძლიერ გაიტაცა ბავშვი.

ერთ კვირა დღეს	3	ბუნების ანაზი	32
ქალაქებარეთ	4	ატომის ბუტერბულები	36
ახი მიღიონი მოცეი და ქინძისიმუში	7	გეწადულობით მოლეკულებს	40
მოუხვენარი მოლეკულები	10	ფრისისილად, ყველან ელექტროობაა	44
სად გაქრა ხაგრეტი?	13	რატომ არ იშლება ატომი?	47
აღვალი ცდა	15	რა მოხდა გემსე	51
მოლეკულებზე ამხედრებული		გახლებილი ატომი	55
კიტრების მოსატანად	21	მომავლის ტექნიკა	61
ცხელი სუპი	28	სეირნობის ხამარცხვის დასასრული	66

Вацлав Коваль  
ПЕТЯ, Я И АТОМЫ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР  
«Накадули», Тбилиси, 1979

6. 3 № 325

რედაქტორი ნ. ა ნ თ ე ლ ა გ ა  
მხატვარი გ. ე ნ ა გ ე ლ ი  
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ლ თ ნ ტ ი  
ტექნიკური რედაქტორი ზ. ლ თ ნ ლ უ ა  
კონტროლიორ-კორექტორი მ. ლ ა ლ ა მ ე  
კორექტორი თ. ე ნ ლ ე ლ ა მ ე  
გამოშვების ნ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა ახალგობად 14.02.78 ხელმოწერილია დასაბეჭდიად 25.02.79 ახალ-  
გობის ზომა 7×9 ქადაგის ზომა 70×90 $\frac{1}{16}$  ნაბეჭდი თაბახი 4,97 სა-  
ძრაცხეო-ხაგამომცემლით თაბახი 3,78. ხაბ. ქაღ. № 1 შეკვ. № 555  
ტარაჟი 10.000 ფასი 30 გაბ.

გამომცემლიმ „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიძეილის 5  
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

600. 995.

ხასრათველის სსრ გამომცემლიმათ. პოლიგრაფიისა და წიგნის გაჭრო-  
ბის ხაქმიდის ხახლმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა მეცნი-  
ნიერის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли,  
пр. Пушкины № 7.